

ვახტანგ ჭანკრთაძე

სსკუნის
წიგნი

XI



ვახტანგ ქანკოტაძე

წიგნი ეძღვნება ანკარდაცვლილების
სსოვნას

ტსოპნოს
ბიპნო

ნაწილი მეთერთმეტე

თბილისი
2021

„ხსოვნის წიგნის“ წინამდებარე ნაწილის მომზადება-გამოცემის პროცესში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი დახმარებისთვის ავტორი უღრმეს მადლობას უხდის: ცნობილ პოეტს აკაკი ბიძინაშვილს, ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილს და ზურაბ კაჭკაჭიშვილს.

რედაქტორი ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა შალვა მურადაშვილი

წიგნი გამოიცა აწვარდაცვლილთა ოჯახების წევრების,
ახლობლებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით

მზადდება გამოსაცემად
XII წიგნი

ავტორისაბან

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ საქართველოს ეროვნულ (ე.წ. „საჯარო“, ქ. თბილისი) და გორის ბიბლიოთეკებში და ასევე გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსაზრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხრა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მავანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხვედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გაგრძელდეს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პოპულარულმა აწვარდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უკვდავყოფასაც მოისურვებენ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავები თუ მეგობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის ისტორიის მნიშვნელოვანი დაკუმენტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლებლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გავითვალისწინე რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი, მკითხველს ვთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („...და ვანთებ სანთელს“) მეათე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მეთორმეტე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ტელ: 27-81-81, 593 62-17-56).

წინათქმა

საქართველოს ეროვნულ (საჯვარო) და გორის ბიბლიოთეკების ფონდებში განთავსებულ „ხსოვნის წიგნებში“ (პირველი სამი წიგნის სახელწოდებაა „და ვანთებ სანთელს“) წარმოდგენილ ადამიანებს ვეღარ ჩავეხუტებით და ვეღარ გავამხნევებთ... შორს წასულან, თუმცა, მაინც ახლოს არიან; სათითაოდ და ცალ-ცალკე წასულებს ერთად ვხედავ და მაღლიერებით ვიდრეკ მუხლს მათი ხსოვნის წინაშე ყველაფერი იმისათვის, რაც გორის, გორელებისა და ქვეყნისათვის გააკეთეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში.

ისინი დღეს ჩვენთვის მდუმარე კოჰორტაა, რომელიც კვლავ იბრძვის, მიწაზე დატოვილი სიკეთის კვალით, ადამიანთა კეთილდღეობის, სრულყოფისა და ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიებისათვის.

დაე. ეს მოკრძალებული წიგნი იყოს ჩვენი ყველას დიდი მაღლიერების გამოხატვის მცდელობა მათ მიმართ, ვინც ბინა დაიდო სამუდამო სასუფეველში. დაე, ეს წიგნი იყოს ჩვენი მცირე წვლილი მათი ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

თვალწინ მიდგანან ისინი და ასე მგონია და მეჩვენება, რომ მაღლააწეული ჩირაღდნებით კვლავ გვინათებენ ჩაბნელებულ და ჩახლართულ ცხოვრებისეულ ლაბირინთებს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანი წარმოადგენს „ინდივიდუალურ სამყაროს“ თავისი გარეგნული იერით, გენეტიკური თავისებურებებით, ცხოვრების წესით, ადამიანებთან ურთიერთობების გზებით, მოვლენებზე რეაგირებით, სიყვარულით, ბრძოლისუნარიანობით, ერთგულებით, პატიოსნებით, პატრიოტიზმით, იუმორის გრძნობით, წარსულისა და აწმყოს შეფასების უნარით, წარსულის გათვალისწინებით და ა.შ.

ყოველი ჩვენგანი არის ერთადერთი. გვახსოვდეს, რომ ზუსტად ჩვენნაირი არ არსებობს, არ ყოფილა და არც იქნება. სწორედ ამიტომ ღრმად მწამს, რომ იმქვეყნად წასულების ხსოვნის უკვდავყოფა არის ცოცხალთა უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი ღვთაებრივი მოვალეობა. გვფარავდეს უფლის მაღლი.

„...თვითულ ჩვენგანს ბედისწერის
აქვს საფეხური,
ის კი არ ვიცით, რა სიმაღლეს
უღვას თავდებად,
სიცოცხლე იყოს გინდ უტბესი,
გინდ უკეთური,
სადღაც იწყება და ასევე
სადღაც მთავრდება.

იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი
ჩვენი ცაშია...
ერთხელ ჩატყდება საფეხური
თუნდაც მეფური,
ყველა ჩვენგანი დღენიადაგ
იმის ცდაშია,
რაც შეიძლება მაღლა იყოს
„ის“ საფეხური.

ავტორი

აბრამიძე ნანა

**ნანა, გეიფარხარ და გვენატრები,
ნუ სთვლი წახვედი შორით,
სანთლად გვინთხხარ, გვწამს, არ ჩაქრები...
არ დაგიფიწყებს გორი.**



თანამედროვე ქართველ ქალბატონთა უბრწყინვალესი წარმომადგენელი ნანა აბრამიძე დაიბადა ქ. გორში 1955 წლის 15 ოქტომბერს ვასილ აბრამიძის ოჯახში მესამე ქალიშვილის სტატუსით. ნანას მეუღლემ ბატონმა ზურა კამკამიძემ გვითხრა: „...მას ნინო დაარქვეს, მაგრამ ამ სახელით იშვიათად მოიხსენიებდნენ. უფრო მეტად ნანად უხმობდნენ. ნინოც და ნანაც წმინდანების სახელებია და მათი ტარება დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ნანამ ღირსეულად ატარა სახელი და რთული მისიის ტვირთი. დასაფლავების მომენტში მომჩვენა, რომ იმქვეყნად მას აცილებდნენ ანგელოზები...“

ნანა აბრამიძე საწყის ეტაპზე სწავლობდა გორის №2 საშუალო სკოლაში. ბოლოს მან დაამთავრა მე-4 საშუალო სკოლა და წარმატებულობის ატესტატით გაბედულად შეადო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო ინსტიტუტის კარი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება – ბავშვობაშიც, ქალწულობაშიც და ზრდასრულობის პერიოდშიც ნანა გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით, სიცოცხლის მაღალი უნარიანობით და თბილი და მხიარული ხასიათით.

თამაშობდა გასართობ სიტუაციებში, მღეროდა, კისკისებდა – თავად ხალისობდა და სხვასაც არ აძლევდა მოწყენის საშუალებას, თეატრალურ სპექტაკლშიც („ქაჯანა“) ითამაშა და სამუდამოდ დაამახსოვრა თავი მაყურებელს. მუდმივად აქტიურობდა მასიური კულტურული ღონისძიებების ჩატარებისას. არაერთი ადამიანი მოუხიბლავს თავისი სიმღერებით.

ისევ ბატონი ზურა: „...ძალიან მოსწონდა ლექსების კითხვის ჩემეული „მანერა“. მუდამ ყურადღებით მისმენდა. განსაკუთრებით მოსწონდა ჩემს მიერ წაკითხული გ. ლეონიძის „ეივჩალის პაემანი“. მთხოვდა ხოლმე – ჩემს მეტს არავის წაუკითხოლო. ასეც მოვიქეცი, საფლავთან გულში ჩემად წავუკითხე და მიწაში ჩავაყოლე. თხოვნა ასე შევუსრულე...“

ნანას ძალიან უყვარდა წიგნები და სისტემატურად კითხულობდა.

ნანა აბრამიძემ გაიარა ურთულესი და ფრიად მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გზა ბიბლიოთეკის რიგითი მოსამსახურედან გორის რეგიონის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელის საპატიო თანამდებობამდე. იგი ურთულეს პირობებში აღწევდა შეუძლებელს. თავგამოდებით იცავდა ბიბლიოთეკების პრესტიჟს, თანამშრომლების ღირსებას და რაც მთავარია, სიახლეების დანერგვის აუცილებლობას.

ნანა აბრამიძემ გაიარა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების თუ სხვა საბიბლიოთეკო ღონისძიებათა მთელი კასკადი, მათ შორის აშშ-ში.

ქალბატონმა ნანამ თავისი განსწავლულობითა და მაღალი პასუხისმგებლობის წყალობით ცენტრალური ბიბლიოთეკა ჩამოაყალიბა თანამედროვე წიგნების მექადა. ფართოდ გამოიყენა აშშ-ს საელჩო. ბიბლიოთეკაში შექმნა ე.წ. ამერიკის კუთხე და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის მწერალთა სახლის მონაწილეობით.

ნანა აბრამიძის ხელმძღვანელობის პერიოდში საგრძნობლად იმატა მკითხველთა რაოდენობამ. ქალბატონმა ნანამ ბევრი რამ გააკეთა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გორის ცენტრალური ბიბლიოთეკა დგას ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებზე.

ნაყოფიერი და მიზანმიმართული შრომისათვის ქალბატონ ნანას მიღებული აქვს „ღირსების ორდენი“ და უამრავი საპატიო სიგელი, სერტიფიკატი, დიპლომი, მადლობა და სხვა სახის წამახალისებელი სამახსოვრო.



ქალბატონი ნანას მეუღლე ბატონი ზურა კამკამიძე ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა, თუ რომელიმე ბიბლიოთეკას მიენიჭებოდა ნანა აბრამიძის სახელი. რატომაც არა, ქალბატონმა ნანამ დაიმსახურა ამგვარი პატივი.

ბატონმა ზურამ და ქალბატონმა ნანამ აღზარდეს და ქვეყანას აჩუქეს ორი შვილი (თამთა და ივანე კამკამიძეები) და რვა შვილიშვილი.



სამწუხაროა, რომ საზოგადოებისათვის მოულოდნელად, 2020 წლის 18 მაისს, უმშვენიერესმა და უგანათლებულესმა ქალბატონმა ნანა აბრამიძემ მიგვატოვა და თვალცრემლიანი გამცილებლების თანხლებით გეზი აიღო სამუდამო სასუფეველისკენ. დაკრძალულია გორში.

ნათელში იყოს მისი სული.

აქვე ვიტყვით, რომ ნანას მეუღლე ბატონი ზურა ბოდიშს იხდის და პატიებას ელის მკითხველისაგან, თამაზ წიგწვიგაძისადმი მიძღვნილი სიტყვების გამოყენებისათვის საკუთარი, აწგარდაცვლილი მეუღლის მისამართით:


**...შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა,
მეხის გაფარდნას ჰგავდა სიკვდილი...“**

არბოლიშვილი გურამი და გაფრინდაშვილი ნინო (ნუნუ)

გასული საუკუნის 60-იანი წლების გორში საკმაოდ პოპულარული და მისაბაძი წვეილი გახლდათ ნუნუ (ნინო) გაფრინდაშვილისა და გურამ არბოლიშვილის ტანდემი.

შინაგანი ამადლებული სულიერებისა და გარეგნული მიმზიდველობის გამო მათი ერთობის ფაქტს დიდი სიხარული მოჰქონდა ახლობელ-ნათესაებისათვის. თუ მეზობლებ-ნაცნობების ფართო წრისათვის (იყვნენ შურიანებიც, მაგრამ ამ წერილში მათი ადგილი არ არის).





ზურაბი

ორივე მათგანმა საშუალო სკოლის შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ბევრი ცხოვრებისეული სიმძიმისა და დაბრკოლების გადატანა და გადალახვა მოუხდათ გურამის და ნუნუს. იყო წარმატებებიც და ცუდი და დასანანი თუ სამწუხარო ფაქტებიც.

მთავარი კი მაინც ის გახლდათ, რომ შეყვარებულმა მეუღლეებმა შეეს და აღზარდეს სამი უმშვენიერესი შვილი – ნიკოლოზი (1960-1988), ზურაბი (1964-1983) და ციცკა (1971 წ.).

არნახული და ძნელადწარმოსადგენი ტრაგედია გადაიტანა ქალბატონმა ნუნუ (ნინო) გაფრინდაშვილმა, რომელმაც, სულ რაღაც ათწლიან მონაკვეთში, დაკარგა სამი უახლოესი და უძვირფასესი ადამიანი: მეუღლე გურამი (1977), შვილები ზურაბი (1983) და ნიკოლოზი (1988).


მინდა რაღაც გამამხნეველი ვთქვა ნუნუს (ნინოს) მესამე შვილის ციცკას მისამართით, მაგრამ უძლური გახლავართ. არ ვიცი, რით ან როგორ გავამხნევო. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, რათა არასდროს იქნეს დავიწყებული ძვირფასი მშობლები.

გურამ არბოლიშვილისა და ნუნუ (ნინო) გაფრინდაშვილის მომგონებლები არიან: შვილი ციცკა; შვილიშვილები – ელენე მეყანწიშვილი, ნინო არბოლიშვილი; შვილთაშვილები – ლილე და ვახე ჯამბრიშვილები, ნიკოლოზ და ლუკა გოხელაშვილები.

ნუნუ (ნინო) გაფრინდაშვილს ჰყავდა ორი და მერი და ციალა.

გურამ არბოლიშვილი გარდაიცვალა 1977 წელს. ნინო (ნუნუ) გაფრინდაშვილი გარდაიცვალა 1999 წელს.

დაკრძალულნი არიან გორში. ნათელში ამყოფოს მათი სულები.



ნიკოლოზი

**„...იდუმალების უფსკრულებზე
წევა წყვდიადი,
აღლის სიღრმეზე დუმილია მარადჟამული.“
(ეიქტორ ჰიუგო)**

ბერიშვილი ნელი

**...მშვიდი, წყნარი და მორცხველი,
ქალი თავისა მცველია,
შვილთა მომვლელი, ქმრისათვის
შემწე და მინაშველია...“
(ვახტანგ VI)**



თითქოს იცნობდაო საქართველოს დიდი მეფე ქალბატონ ნელის პიროვნებას, რამეთუ უმდიდრესი ქართული ენიდან გამოყენებული ეპითეტები საოცრად ახლოს არის მე-20 საუკუნის გორის საზოგადოების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის ნიშან-თვისებებთან, ხასიათის შტრიხებთან და ყოველდღიური ცხოვრების წესებთან.

ქალბატონი ნელი მართლაც რომ მორიდებული, მაღალი განათლებულობის დონის წყალობით თავის დამცველი, ოჯახზე ზოგადად და განსაკუთრებით მეუღლესა და შვილებზე მზრუნველობით გამორჩეული და ყველასათვის შემწე და „მინაშველი“ გახლდათ და ამას ადასტურებენ მისი ახლობელ-ნათესავები და საბედნიეროდ კვლავ ჩვენთან მყოფი ნელის ხანდაზმული კოლეგები.

ნელი ბერიშვილი დაიბადა გორში, ძველი ქალაქის ისტორიულ უბანში, ასია მამულაშვილისა და გიორგი ბერიშვილის ოჯახში, სადაც ბავშვებს ტრადიციულად ასწავლიდნენ კაცთმოყვარეობას, მეგობრობას, შრომას, თანადგომასა და ადამიანებთან ღირსეულ ურთიერთობებს.

გორის №3 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მისი მომავალი ცხოვრებისეული გეგმები. ქორწინების 39-ე დღეს მისი მეუღლე გაიწვიეს ფრონტზე, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. სრულიად ახალგაზრდა ქვრივმა მძიმე სულიერ ტკივილს წიგნების ინტენსიური კითხვით სძლია და ვაჟკაცური შინაგანი ბუნების წყალობით და ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზებით შესძლო დამთავრებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდში შეხვდა თავის მომავალი ცხოვრების ერთგულ

თანამგზავრსა და უსაყვარლეს ადამიანს ვანო სოსანიძეს. როგორც ქართველები ვიტყვით ხოლმე – „იხარა ჭერმა“! ნელისა და ვანოს ოჯახში იშვა და აღიზარდა სამი შვილი (თინათინი, გიორგი და თამარი), რომლებიც დღესაც აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში: თინათინი – გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორია და საკმაოდ წარტმატებულიც. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმი ავიდა კულტურულ-საგანმანათლებლო-ისტორიული მოღვაწეობის უმაღლეს დონეზე აქტიური კვლევით-სამეცნიერო მიღწევებისა და უამრავი ნოვატორული პროექტების განხორციელების წყალობით; გიორგი – პროფესიონალი არქიტექტორი გახლავთ, ხოლო თამარი მოღვაწეობს მუსიკის სფეროში (პიანისტი).

ნელი ბერიშვილი (სოსანიძისა) პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში და ასწავლიდა „საბჭოთა სამართალს“ და „შრომის დაცვას“. შემდეგ იგი დაინიშნა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ფონდების მთავარი მცველის თანამდებობაზე, სადაც ეწეოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ისტორიულად აუცილებელ ფრიად საინტერესო საქმიანობას, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე.

კეთილსინდისიერი, უმწიკვლო შრომისათვის ქალბატონი ნელი სამჯერ აღიარეს გამარჯვებულად ე.წ. „სოციალისტურ შეჯიბრებაში“ და მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო სიგელი, დიპლომი, მედალი თუ პრემია და მადლობა.

ცნობილმა გორელმა საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ წერეთელმა ლექსი მიუძღვნა ქალბატონ ნელის. ერთი სტროფი:

**„ასოც წელიწადს იცოცხლე
იყავ მუდამ ბედნიერი...
თქვენს ოჯახში სულ ისმოდეს
ტებილი „მრავალჯამიერი...“**

სამწუხაროდ, ქალბატონმა ნელიმ ვერ შეუსრულა თხოვნა ვ. წერეთელს. იგი გარდაიცვალა 72 წლის ასაკში 1995 წლის შვიდ აპრილს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. აქვეა დაკრძალული მისი უსაყვარლესი და უძვირფასესი, ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრი ბატონი ვანო სოსანიძე.

ნელი ბერიშვილმა და ვანო სოსანიძემ მონაგარის სახით ქვეყანას დაუტოვეს შვიდი შვილიშვილი და ამდენივე შვილთაშვილი.

მოგვეყვას რამდენიმე ამონარიდი ქალბატონი ნელის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის და კოლეგის (მარინე არჩუაძე-უთნელიშვილისა) მოგონებიდან:

„ხშირად უთქვამს – ადამიანს თუ სურს წარმატებას მიადწიოს, ბევრი უნდა იშრომოს; მთავარია გიყვარდეს შენი საქმე; ქალბატონი ნელი

ჩემი უფროსი მეგობარი იყო; ცხოვრების მიზანი სიკეთის კეთება უნდა იყოს; გაეცით რაც შეგიძლიათ; ჰქონდა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და უტყუარად ერკვეოდა ადამიანებისა და მოვლენების არსში; ქალბატონი მარინე იმასაც ამბობს, რომ ნელი ბერიშვილს ძალიან უყვარდა კლასიკური მუსიკა. კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და სასიამოვნოდ მღეროდა; ჩინებული დიასახლისი და მასპინძელი იყო...“ და სხვა.

დასანანია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებას ქალბატონი ნელის სახით აღარ ჰყავს საოცრად აქტიური, შრომისმოყვარული და პატრიოტი პიროვნება, რომელიც გამორჩეული გახლდათ ეროვნული ინტერესებისადმი თავდადებით და სანიმუშო დედობით, მეუღლეობით, მეზობლობით და სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილით.

ნათელში იყოს მისი სული.

**„თამამი ფუნჯით, ფერით მინდა დრო-ჟამს შევება,
მომაკვდავია საღებავი შენთან ყოველი!
როგორ გადმოვცე შრომნის, ვარდის ფერი ცხოველი?
როგორ ავსახო საკადრისად შენი მშვენება?“
(რაფაელ სანტი)**

ბობუელიძე ენდი

**„...გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს. ეძიეთ მასში
არა ოდენ ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც,
ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც...“
(ჯუზეპე მაზინი)**



დიას, ქალბატონებო და ბატონებო... ენდი გოგშელიძე გახლდათ სწორედაც რომ იმ რანგის ქალთა წარმომადგენელი, რომელშიც უნდა გეგულებოდეს და ეძებდე ნუგეშს, შთაგონების ძალას, ზნეობის უმაღლეს სტანდარტებს, საოცარ გამჭრიახობას და უხვად მომადლებულ უნარს შრომისმოყვარეობის, სტუმართმოყვარეობისა და სიკეთის კეთების.

პირადად არ ვიცნობდი ქალბატონ ენდის, მაგრამ მისი ახლობლების მიერ წინამდებარე წიგნისათვის მასალების მოწოდების შემდეგ, უკრადლებით დავაკვირდი რა მის ფოტოს, მა-

შინვე ვირწმუნე, რომ მისი სახით საზოგადოებამ დაკარგა ძლიერი ნებისყოფისა და ანკარა სულიერების მატარებელი, პრინციპული ხასიათის ადამიანი, რომელსაც არასოდეს დავიწყება არ უწერია.

ვარდვევ რა ამ წიგნისთვის დამახასიათებელ სტანდარტს – სიტყვას ვუთმობ მის შვილებს:

„...ჩემი ტკბილი დედა ენდი ვლადიმერის ასული მამასახლისის (გოგშელიძისა) დაიბადა ვანის რაიონის სოფ. ხეინდარში, გლეხის ოჯახში. ჰყავდა ერთი ძმა და ერთი და. მამა იბრძოდა მსოფლიო ომში. ოჯახს დაუბრუნდა ნახევრად ინვალიდი. დედა ძალიან ენერგიული და მოხერხებული ყოფილა. მხარში ედგა მამას საოჯახო პრობლემების მოგვარების პროცესში.



ახლობლების წრეში

ისტორია კი ასე დაიწყო: ჩემს ბაბუას, ქუთაისის ერთ-ერთ ოჯახში უნახავს ციბრუტივით მობზრიადლე ქალწული, მოსწონებია, წამოუყვანია მატარებლით გორში (შემდეგ სოფ. ფლაეში) და დაუქორწინებია მომავალში ჩემს მამაზე ლევან დიმიტრის ძე გოგშელიძეზე. გავიდა დრო. ოჯახი მოძლიერდა. დედა მუშაობდა კოლმეურნეობაში. შეხმატკბილებულ ოჯახში გაეჩნდი ჯერ მე, ნატო, შემდეგ ზურა და დიტო. უნდა აღვნიშნო, რომ დედა მალე გახდა ძლიერ პოპულარული. უიმისოდ პურმარილი არ იმართებოდა. დედას ნახელავი თუ არ იყო უხვად, იმ სუფრას არარად სთვლიდნენ. დედამ გამიზარდა შვილები ისე, რომ სწავლაში ხელი არ შემშლია... დედამ მიძე ტრავმა მიიღო მაშინ, როდესაც გარდაიცვალა – ჯერ მამა (67 წლის), შემდეგ ჩემი ძმა ზურა (42 წლის). ხუთი წელი კვლავ იცოცხლა და განუტევა ტანჯული სული. მადლობა ჩემს ძმას და რძალს, რომ მას უვლიდნენ სამაგალითოდ.

ორმა სოფელმა მწარედ განიცადა დედის (ენდის) გარდაცვალება. ახალაგზრდებმა ხელით ციმციმ ატარეს სამუდამო სასუფეველისკენ მიმავალ გზაზე. დედა გარდაიცვალა 78 წლის ასაკში.

ენდი გოგშელიძე კარგად მღეროდა (ხმებში) და ძალიან უყვარდა პოეზია. ხშირად გვიმღერია ჩემს შვილიშვილებთან (დათო, ხათუნა) ერთად. ერთხელ დაეხმარა პოეტ მირიან იორამაშვილს ლექსი გამოექვეყნებინა გაზეთ „გამარჯვებაში“. საერთოდ, ენდის უყვარდა სხვისი დახმარება – მშიერს აჭმევდა, შიშველს აცმევდა, დაღონებულს ამხნევებდა... მეზობელ მარინა ნიკოლაშვილთან ერთად ხშირად წარმოუდ-

გენიათ თეატრალური სპექტაკლებიდან ეპიზოდები, რაც ხალხს ძალიან მოსწონდა.

დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ შვილიშვილებს თითქოს სცხვე-
ნიათ და ერიდებოთ ჩვენთან სტუმრობის.

**„...გერასგზით ვერ მოვცილდებით,
როგორც თითი და ფრჩხილი,
არ დაგვაშორო, უფალო,
ერთმანეთს დედა-შვილი...“
(ნატო)**

სამწუხაროდ, ბედმა დააშორა ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული
დედა და შვილი. ნატო და სრულიად შთამომავლობა დარჩა უპირობა-
სი წინაპრის, ენდის გარეშე.

ნათელში იყოს მისი სული.

**„...აჰ, ფრთხილად დადგი მიწაზე ფეხი,
რომ არ შელახო ბუნების კალთა,
რომ არ გათელო ქალღმერთის ნეშტი
და სიძლიერე ელვარე თვალთა...“
(ომარ ხაიამი. პერიფრაზი)**

გორბიშვილი ალექსი (საშა)



**არ მოგკლება შრომა და ბრძოლა,
შენეულ სიტყვას ამბობდი მყარად,
გეწამს – შენი დარი შვილების ყოლა,
მამულს ყოველთვის სჭირდება ფარად.**

ისეთი აღამიანები, როგორც გახლ-
და ალექსი (საშა) გორბიშვილი, მართლაც
რომ წარმოადგენდნენ ქვეყნის შვილების
საუკეთესო კოჰორტას, რომლებიც მზად
იყვნენ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდ-
ში თუ სხვა მნიშვნელოვან სიტუაციასა და
გარემოში ქედმოუხრელად მდგარიყვნენ
მშობლიური ქვეყნისა და ქართველი ერის
სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზე –

ისინი ქმნიდნენ დოვლათს, ისინი უფროსილდებოდნენ და იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს, ისინი ზრუნავდნენ ოჯახების კეთილდღეობაზე და ბოლოს – ისინი თავგანწირვით იცავდნენ ერის მონაპოვრებს და ღირებულებებს.

აღექსი (საშა) აღექსანდრეს ძე გორგიშელი დაიბადა გორის რაიონის სოფელ მერეთში 1911 წლის 10 მაისს. მისი დედა, ქალბატონი სონია გორგიშელი გახლდათ ოთხი ვაჟიშვილის საამაყო დედა და სოფელში ცნობილი დიასახლისი. აღექსის (საშას) ძმები იყვნენ: ილია, ვლადიმერი და შალვა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ოჯახს არ მოუხერხდა მისთვის მიეცა საშუალო სკოლის დამთავრების შესაძლებლობები, მაგრამ ბავშვობის ასაკიდანვე საშამ გამოიჩინა შრომისადმი ძალიან დიდი ინტერესი და თავისი ძლიერი შინაგანი ბუნებისა და ძლიერი მიზანსწრაფულობის წყალობით მალე გახდა სოფლის ერთ-ერთი წარმატებული მშრომელი, რომელსაც თითქმის ყველაფერი ეხერხებოდა, რაც კი სჭირდებოდა მშინდელ სოფლის მეურნეობას და ყოველდღიურ ცხოვრებას.

აღექსი (საშა) ჩამოყალიბდა მოწინავე კოლმეურნედ, რომელიც წარმატებული შრომისათვის და მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგებისათვის ბევრჯერ იყო დაჯილდოებული, როგორც თითოთ საჩვენებელი ბრიგადირი. ახალგაზრდები ცდილობდნენ მის მიბაძვას.

მეორე მსოფლიო ომის ბატალიებიდანაც ორდენ-მედელებით მკერდ-დამშვენებული დაუბრუნდა ოჯახს და კვლავ ჩაება შრომის ფერხულში.

იბრძოდა ქ. ნოვოროსისისკში, სადაც მძიმედ დაიჭრა. უმკურნალეს ქ. სოხუმის ჰოსპიტალში და კვლავ ფრონტს მიაშურა. ამჯერად თავგანწირვით იბრძოდა ქ. სტალინგრადის მიდამოებში. მოხდა ისე, რომ სხვა მრავალ საბჭოთა მებრძოლთან ერთად მოხვდა ტყვეობაში. საფრანგეთში არსებულ ბანაკში მან სოფ. ბროწელეთის მკვიდრ იასონ პურიჭამიაშვილთან ერთად გაატარა ტყვეობის პერიოდის დიდი ნაწილი, საიდანაც მოახერხა თავის დაღწევა (გაქცევით). ტყვეობიდან დაღწევის შემდეგ, აღექსიმ და იასონმა მიაკითხეს საფრანგეთის ტერიტორიაზე მებრძოლ პარტიზანთა შენაერთებს და ტყვეთა ბანაკიდან გაანთავისუფლეს ყველა.

ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი თავისი შრომისა და დამსახურებების წყალობით კვლავ მოექცა მოწინავეთა რიგებში და დაიმსახურა არაერთი მედალი, ორდენი, სიგელი თუ სხვა რანგის ჯილდო.

ახლობელ-ნათესავები აღექსის (საშას) ახასიათებენ როგორც უადრესად პატიოსან და ერთგულ ადამიანს. სიამოვნებით იგონებენ, რომ იგი იყო თბილი და ტკბილი ხასიათის ადამიანი. სიამაყით ამბობდნენ თურმე, რომ საშას ყველა უყვარსო და ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ყველას უყვარდა და ყველა პატივს სცემდა.

სამწუხაროდ, 1996 წლის 15 სექტემბერს საქართველოს გულანთებულ მშრომელ ადამიანთა პლეადას გამოაკლდა სამი შვილის (გიორგი, ცინო, გურამი) მამა, საოცარი მეურნე და ოჯახზე შეყვარებული კაცი, რომელსაც ვიცნობდით და რომელსაც ვაქებდით და ვაფასებდით (უმადლესი მახვენებლებით).

ალექსი (საშა) გორგიშელი დაკრძალულია სოფ. მერეთში, საგვარეულო სასაფლაოზე.

იმედია, სოფ. მერეთის მოსახლეობა და ალექსის მონაგარი არასოდეს დაივიწყებენ ღვაწლმოსილ მეურნეს.

ნათელში იყოს მისი სული.

**„...თავის ჭეშმარიტ შვილად ხალხი
მხოლოდ მას ჩათვლის,
ვინც მის ტკივილებს,
ჭირსა და ღხინს გაიზიარებს...“**

(ჰენრიკ იბსენი)

ღევიძე ოთარი



ძვირფასო მკითხველო, კარგად დააკვირდით ფოტოზე წარმოდგენილ სამ ბიჭს, ე.წ. პიონერებს – მარცხნიდან პირველი, თითქოს მოგიწოდებს – კარგად შემომხედეთ, უბრალო ვინმე არ გეგონოთ, პიონერი ვარო; მარჯვნიდან პირველი გვაფრთხილებს – არაფერი შეგეშალოთ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმეო. შუაში მდ-

გომს სულაც არ აწუხებს და არც არაფერს ავალდებულებს ე.წ. წითელი ყელსახვევი, იგი უბრალოდ ბავშვია (10-11 წლის), რომელიც სითბოს აფრქვევს, მომხიბვლელად იღიმის (რაც შინაგანი ბუნების გამოხატულებაა) და თითქოს მოგიწოდებს კიდევ – ადამიანებო, გაიღიმეთ, გამხნევდით, ირგვლივ უამრავი სილამაზე და მომხიბვლელობაა, დატკბით და გაიხარეთ ბუნებით ნაბოძები სიკეთებით, მზად ვარ თქვენს გვერდით ვიყო და გაგამხნევოთო. ეს შუაში მდგომი მომხიბვლელი ბიჭუნა გან-

ლაეთ 11 წლის ოთარ დევითე, რომელიც ყველას სიტყვა „ოქრო“-თი მიმართავდა თავად ოქროკაცი, ოქრომოქალაქე და ოქროსპეციალისტი.



ოთარი 1963 წელს გავიცანი, როცა ჩემს უფროს შვილს 2 წლის დევის სიცხემ აუწია. მირჩიეს ოთარ დევითეს მიმართო. მოხდა სასწაული. ყოველგვარი მედიკამენტისა თუ რაიმე სამედიცინო პროცედურების გარეშე სამი-ოთხი საათის შემდეგ ბავშვს სიცხემ დაუწია ნორმალურამდე, საჭმელი მოითხოვა (!) და რომ იტყვიან, გემრიელად ჩაეძინა. ეგ იყო და ეგ, ბავშვმა

გაიღვიბა ყოველმხრივ ჯანმრთელმა და ხალისიანმა. მას შემდეგ ხშირად მსმენია – ოთარ დევითეს საოცარი აურა აქვს, უწამლოდ არჩენს ავადმყოფებს და წარმოიდგინეთ, ხშირად გავმხდარვარ ასეთი ფაქტის მოწმე.

მართლაც რომ საოცარი აურა გააჩნდა იმ მაღლიან კაცს, რომელსაც ოთარ დევითე ერქვა (ხშირად უთქვამს ჩემთვის – ძალიან მიყვარს შენი ბიჭი ბევრი რამის გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ მის სახელში ჩემი გვარის ჟღერადობა ისმისო).

ქართული განმარტებით ლექსიკონებში წარმოდგენილი შექვებითი ხასიათის ეპითეტები არ არის საკმარისი ოთარ დევითის პიროვნების შესაფასებლად, საჭიროა ახალი სიტყვები და განმარტებები; ჩემთვის კი ის იყო სიკეთის, განათლებულობის, შინაგანი მაღალი კულტურის, ვაჟკაცური ნიშან-თვისებების, მაღალი პროფესიონალიზმისა და თავგამოდებული მეოჯახის, მეგობრის, კოლეგის თუ პატრიოტის სიმბოლო ყველანაირი გაგებით.


იყო-მეთქი, ვთქვი და ვნანობ... ნეტავ მეთქვა – არის!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – გორს და ქვეყანას აღარ ჰყავს ოთარ ილიას ძე დევითე, კაცი დევითთ ძლიერი.

ოთარ დევითე დაიბადა 1941 წლის 16 მაისს, როცა ეს წერილი იწერება, სულ რაღაც სამი თვეა დარჩენილი მისი საიუბილეო 80 წლისთავამდე. ნეტავ ეცოცხლა, რიხიანად ავახმოვანებდი მისთვის საყვარელ ჩემს შვიდსიმიან გიტარას.

ოთარ დევითემ გორის რუსული საშუალო სკოლის ვერცხლის მედლით დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო ქ. ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში.

სამუშაო ადგილები და თანამდებობები: ტაჯიკებში (ექიმ-ინფექციონისტი); გორის რაიონული საავადმყოფო (თერაპევტი); კითხულობდა



თანამდებობრივ კაბინეტში

ლექციებს გორის ინსტიტუტში; მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში; სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა გორის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორად.

წარმატებული მოღვაწეობისათვის ოთარ დევიძეს სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა მრავალი მადლობა, სიგელი თუ სხვა სახის ჯილდო. მას გაველილი

ჰქონდა სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მოსკოვის, თბილისის, ტაშკენტის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკისა და სხვა ქალაქების დახელოვნების ინსტიტუტებში.

ოთარ დევიძეს მშობლები გახლდნენ: დედა – ქალბატონი მარიამ ალექსანდრეს ასული ტალახაძე; მამა – ილია ზაქარიას ძე დევიძე; მეუღლე – ქალბატონი დალი დევიძე, რომელიც ამჟამად პენსიონერია.

ქალბატონ დალის და ბატონ ოთარის შვილები: მარიამი (ფსიქოთერაპევტი. მუშაობს გორის სამედიცინო ცენტრში); ილია (ეკონომისტი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი); ქეთევანი (ფრანგული ენის სპეციალისტი. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი).

ოთარის და დალის ჰყავთ ხუთი შვილიშვილი (ორი სკოლამდელი ასაკის, ორი მოსწავლე და ერთი სტუდენტი).

სამწუხაროდ, ბატონ ოთარ დევიძეს აღარ მიეცემა შესაძლებლობა გაიხაროს მონაგარის წარმატებებით.

ოთარი გარდაიცვალა 2012 წელს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი სული.


ორიოდე ამონარიდი: „...მე თქვენს თვალებში უსასრულო სიკეთეს ვხედავ...“ (სოფო არბიაშვილი).

„...გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი ერთგულებით. იყო უაღრესად ერთგობიანი; ყველას ჭირისა და ღხინის გამზიარებელი...“ (თინა ბერუაშვილი).

**„...მე გავლიე ჩემი ცხოვრების უამი და მოვიხადე მოვალეობა, რაც ბედმა დამაკისრა...“
(კარლ ფონ ლინეი)**

დვალიშვილი შოთა

**კარგად იცოდა სიკეთის ფასი,
ღიმილს აფრქვევდა სპეტაკი სახე...
პროფესიონალს მაღალი კლასის
ხალხი უქებდა გვარსა და სახელს.**



მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მისი სახელი, რომ იტყვიან – ყველას პირზე ეკერა – შოთა აღიარებულ იქნა ერთ-ერთ წარმატებულ პარტიულ-სამეურნეო მუშაკად. შოთა დვალიშვილი იყო კაცი, რომლისთვისაც უპირველესი საზრუნავი გახლდათ ოჯახი და სახელმწიფო საქმე. იგი საოცარ ყურადღებას ამაღლებდა მოვალეობის შესრულების დროს. იგი მუდამ მზად იყო გაესწორებინა დღე და ღამე, თუ კი ამას საქმე მოითხოვდა.


შოთა დვალიშვილი დაიბადა 1926 წლის 17 სექტემბერს ქ. გორში ალექსი დვალიშვილისა (ბანკის მმართველი, შემდეგ ზნაურში შსს განყოფილების უფროსი) და მარიამ მათიაშვილის (მელიცინის და) მშრომელ ოჯახში. ამავე ოჯახში აღიზარდნენ უფროსი ვაჟი ვახტანგი (დაიღუპა ქ. ქერჩის საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობისას 1943 წ.) და ნატალია (საბავშვო ბაღის პედაგოგ-აღმზრდელი. გარდაიცვალა 1976 წელს.).

საშუალო სკოლისა და მსუბუქი მრეწველობის ქ. მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის დამთავრების (1953 წ.) შემდეგ, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო გორის ე.წ. საკავშირო დაქვემდებარების ბამბეულის ქსოვილების კომბინატში ჯერ საამქროს ოსტატად, ხოლო შემდეგ პირველი ფაბრიკის დირექტორად.

შრომის ფერხულში მთელი თავისი არსებით ჩართულმა ბატონმა შოთამ, როგორც იქნა მოახერხა და თავისი ყურადღება გაამახვილა პირადი ცხოვრების მოწყობა-აწყობაზე. მან თავისი მთელი მომავალი ცხოვრება სიყვარულით დაუკავშირა მშვენიერ პიროვნებას, მალვინა ბოლქვაძეს (გორის №4 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. გარდაიცვალა 2018 წელს) და 1956 წელს გორში საპირკველი ჩაეყარა კიდევ ერთ პერსპექტიულ ოჯახს, სადაც სულ მალე ატიკტიკდნენ ძმები ვახტანგი, ნოდარი და იოსები.

ვახტანგ დვალიშვილმა მიიღო ტექნიკური განათლება. ნოდარ

დვალიშვილი ლენინგრადის (ახლა პეტერბურგის) საფეიქრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა ბიზნესსფეროში, ხოლო გორში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ბამბეულის ქსოვილების კომბინატში. მესამე ძმამ იოსებ დვალიშვილმა დაამთავრა გორის სამედიცინო სასწავლებელი. იგი გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში და გზაში (მატარებელში) გარდაიცვალა უცნობ ტრაგიკულ ვითარებათა გამო.



შვილიშვილთან ერთად

შოთა ალექსის ძე დვალიშვილს ჰყავს ორი შვილიშვილი – იოსებ დვალიშვილი (დაამთავრა ეკონომიკური ინსტიტუტი ინფორმატიკის სპეციალობით. მოღვაწეობს თბილისში) და მანანა, რომელმაც დაამთავრა გორის უნივერსიტეტი (უცხო ენების სპეციალობა). მანანას ჰყავს ორი შვილი თამარ და ანა ფუტკარაძეები. თამარი სტუდენტია (თსუ, ფსიქოლოგიის სპეციალობა), ანა – სკოლის მოსწავლე.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ შოთა დვალიშვილი იყო წარმატებული პარტიულ-სამეურნეო მუშაკი. ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფაბრიკის დირექტორობის შემდეგ: პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი; გაერთიანებული კომბინატის დირექტორი; კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; გორის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მთ. ინჟინერი; გორის გაზის სამმართველოს მთავარი ინჟინერი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შოთა დვალიშვილი სიჭაბუკეში გატაცებული იყო ფეხბურთით (თამაშობდა „დილა“-ში).

ახლობელ-ნათესავეები, მეგობრები თუ ყოფილი კოლეგები ბატონ შოთას მოიხსენიებენ, როგორც მტკიცე ხასიათის პრინციპულ პიროვნებას – მოწესრიგებულს, შრომისმოყვარეს და მომლხენს. მას იცნობდნენ, როგორც მიმტევებელ, სათნო ადამიანს. იგი მზად იყო მუდამ, რათა მხარში ამოსდგომოდა ყველას. შოთას დიდი წვლილი მიუძღვის საკუთარი დისშვილების აღზრდა-განათლების საქმეში. ერთ-ერთი გახლავთ აკადემიკოსი (ბავშვთა მიკროქირურგი) ალექსი ბაინდურაშვილი.

შოთა დვალიშვილს წარმატებული პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს მრავალი სამთავრობო ჯილდო. მათ შორის მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ერთი საინტერესო ეპიზოდი: შოთას შვილიშვილმა მანანამ სკოლას ვერ მიაგნო (სხვა ავტობუსში ჩაჯდა) და ქუჩაში ატირდა. გამგელელი შეეკითხა თურმე – ვისი ხარ შვილო, რა გატირებსო. პატარას უპასუხია რადაცნაირი სიამაყით – შოთა დვალიშვილის შვილიშვილი ვარო. მიუყვანიათ სახლში. ეკითხებიან – ასე რატომ უპასუხეო. იმიტომ, რომ ჩემს პაპას ყველა იცნობსო.

დიას, ბატონებო – შოთა დვალიშვილს ყველა იცნობდა და ყველა პატივს სცემდა.

საოცარი პიროვნება გარდაიცვალა 2007 წლის 17 ოქტომბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი სული.

**„...აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესა...“
(მესტვირული)**


ზაშტაშვილი ბიორგი და რაზმაძე ელენე

**„...თესეთ სიკეთე, გონიერული, მარადიული –
თესეთ! მადლობას გეტყვით ხალხი ახალი გულით...“
(ნ. ნეკრასოვი)**

მათთვის შესაძლოა მივიწყებულიც კი იყო სკოლაში ნასწავლი ეს სიტყვები, მაგრამ ღრმად იყვნენ დარწმუნებულები, რომ ადამიანების მოწოდებაა, აკეთონ სასიკეთო საქმეები ყოველ წუთს, ყოველ საათს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში. დარწმუნებულები იყვნენ და აკეთებდნენ კიდევ რამდენიც და როგორც შეეძლოთ.

არის ოჯახები, რომლებიც უდიდეს კეთილ ზეგავლენას ახდენენ სოფლის მაცხოვრებლებზე. სწორედ ასეთ სასახელო და საამაყო ოჯახებს განეკუთვნებოდა გორის რაიონის უძველეს სოფელ ბერშუეთში, გიორგი და ელენე ზაშტაშვილების





ოჯახი, რომელმაც სხვადასხვა სასიკეთო საქმეების გარდა ქვეყანას გაუზარდა ხუთი შვილი – ჟუჟუნა, სონია, მაყვალა, ნიკოლოზი (ნუკრი) და იური (ილია).

გიორგი და ელენე შრომისმოყვარე ოჯახებში იყვნენ შობილნი და აღზრდილნი და თავადაც გამოირჩეოდნენ

ამ უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი თვისებებით და ჩვევებით. მათი ოჯახი სამაგალითო იყო ყველასათვის; ისინი უხვად აფრქვევდნენ სიბოსა და სიკეთეს მეზობლებში, ნათესავებში, მათ გვერდითყოფ შრომით საქმიანობაში ჩაბმული ადამიანების მიმართ. ისინი უყვარდათ სოფელში.

მძიმე წლები დაემთხვა ახალგაზრდა ოჯახის შექმნას, განმტკიცებას, გაზრდას და განვითარებას – იღვა მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის წლები, უმძიმესი წლები მათ შორის გამარჯვებული ქვეყნებისთვისაც კი.

შრომა, შრომა და ისევ შრომა – ერთადერთი გზა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღდგენა-განვითარებისთვის.

გიორგი ზაუტაშვილი თანდაყოლილი საოცარი ენერგიულობისა და გამჭრიახობის წყალობით და მოსიყვარულე მეუღლის აქტიური მხარდაჭერით ძალიან მალე გახდა მთელი რაიონის საკმაოდ ცნობადი სახე. ის მოსწონდათ, მას აქებდნენ, პატივს სცემდნენ, აფასებდნენ და რაც ასევე მნიშვნელოვანია – მას ბაძავდნენ. თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სოფ. ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადას. საქართველომ გაიცნო იგი, საქართველომ დააფასა მისი თავგანწირული მუშაობა – მიღებული ჰქონდა რამდენიმე მაღალი წონის სამთავრობო ჯილდო.

გაგვიგონია „კვიცი გვარზე ხტისო...“ და სიამაყით აღვნიშნავთ, რომ გიორგის და ელენეს შვილები არანაკლებ შრომისმოყვარენი აღმოჩნდნენ. შექმნეს საკუთარი ოჯახები. აქტიურად ჩაებნენ შრომის ფერხულში და სულ მოკლე დროში გახდნენ პოპულარულნი.

ორ მათგანზე მოგახსენებთ საკმაოდ მოკლედ (წიგნის ფორმატიდან



ზაუტაშვილი ნიკოლოზი მეუღლესთან (ბიძინაშვილი ნინო) ერთად

გამომდინარე) – ესენი არიან ნიკოლოზი (ნუკრი) და იური (ილია).

გიორგისა და ელენეს ვაჟიშვილებს გვერდს უმშვენებენ და ოჯახებს უთბობენ (გარჯითა და სიკეთით) ბრწყინვალე ქალბატონები: ნიკოლოზს – ნინო ბიძინაშვილი, ხოლო იურის – ინგა ბესიაშვილი (იურის დიდი წვლილი მიუძღვის თავისი ბიძაშვილ თეიმურაზ ზაუტაშვილთან ერთად, სოფ. ბერშუეთში არსებულ მთავარანგელოზის საკლესიო კომპლექსის კაპიტალური რესტავრაციის საქმეში).



იური და მისი მეუღლე ინგა შვილებთან (ელენე, თამარი, ილია)

ძმების, ნუკრი (ნიკოლოზი) და იური (ილია) ზაუტაშვილებს ლექსებით მიმართავს მათი ოჯახების უახლოესი ნათესავი, პოპულარული პოეტი აკაკი ბიძინაშვილი:

ნუკრი ზაუტაშვილს

ნუკრი კი არა, ლომი ხარ,
ვერ დაგამარცხებს ვერვინ...
საქმესთან ახლო რომ მიხვალ,
სისწრაფეს იჩენ ელვის.
ბედმა საითაც გაყოფა,
არ შეგ შრობია ოფლი.
ბრწყინვალედ იცი გაყოფა
შენი ნაშრომი გყოფნის.
სინდისს და ნაშუს ინახავ,
წმინდანთა მადლი დაგდევს.
იმ კაცზე ბევრად წინა ხარ,
ვინც ითვლის მილიარდებს...
მოყვარული ხარ ოჯახის,
გამარჯვების გზებს კაფავ,
შთამომავლობა მოგახის,
სულ ჩვენთან იყავ, პაპა!

იური ზაუტაშვილს

ოქროს აკვანი დაგიწვეს
მშობლებმა ჯილდოს სანაცვლოდ.
ჩინეთში სუფრა გაგწვეს,
რუსეთში ბევრი ძმადა გცნობს.
საით წასულხარ, ერიპა!..
გონებით მრავალს აჯობე...
პეკინში ისმის შენი ხმა,
როკფელერს ჭკუით აჩოქებ...
ბერშუეთს ბურჯად უდგეხარ,
მის საკეთილოდ ბევრს ცდილობ.
ანგელოზების კურთხევა,
სადაც ხარ, იქ დაგეწიოს!
სულ საკეთილოდ იბრწყინო,
სული გაგიტობოს ჰანგებმა.
ეგ სამი შვილი გიქციოს,
სამიათასად განგებამ!

სამწუხაროა, რომ დღეს ცოცხალთა რიგებში ვეღარ ვხედავთ დეაწლმოსილ ადამიანებს – გიორგი ზაუტაშვილს და ელენე რაზმაძეს; ისინი განისვენებენ სოფ. ბერშუეთის სასაფლაოზე, სადაც ხსენების დღეებში, სანთლებით ხელში, იკრიბებიან მათი შთამომავლები, რათა უკვლავჰყონ ძვირფასი ადამიანების ხსოვნა.

ზაუტაშვილი როინი

„...სიკვდილზე მძიმე დარტყმა ერგო ბერშუეთს*, როცა ცა მოიდრუბლა სევდით, თაღხით, ქულა ღრუბლებით მუხლებზე დადგნენ, სანთლის ალზე შეუდგნენ ღოცვას ყველა ცალ-ცალკე ყველა ერთად, ქუჩა-უბნები.



დიდი ცოდვა, შეცდომა და, შეიძლება ითქვას, დანაშაულიც კი გახლდათ სხვადასხვა უხილავ ძალთა თუ სიტუაციათა გამო ყოველად მოულოდნელად და უსამართლოდ ამქვეყნიურ ფერხულიდან ისეთი ვაჟაკის გამოკლება და სამუდამო სასუფეველისკენ გასტუმრება, როგორც გახლდათ როინ ზაუტაშვილი და ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებს ცნობილი ქართველი პოეტი აკაკი ბიძინაშვილიც: „...ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან უკეთილშობილესი, ჯან-ღონითა და სიყვარულით აღსავსე ვაჟაკი, ოთხი შვილის საყვარელი მამა, უღამაზესი ქალბატონის ღელა აკოფაშვილის მეუღლე, თავდადებული მშობლების (ეკატერინე წიკლაური, გიორგი ზაუ-

ტაშვილი) საფიცარი შვილი, უძვირფასესი დების (მარეხი, მანანა) მოსიყვარულე ძმა, მამუკა ბაშარულისა და ბანუკი მეფარიშვილის შეუცვლელი მოყვარე.

ვინც კი იცნობდა ბატონ როინს, დაგვეთანხმება, რომ იგი იყო სოფ. ბერშუეთის (და არამარტო) გამორჩეული ვაჟაკი, თავისი საქმის უმაღლესი დონის პროფესიონალი, შპს „გეოს“ ერთ-ერთი აქტიური და ერთგული წევრი, მეგობრობის უნარით გამორჩეული კაცი.

როინ ზაუტაშვილი დაიბადა 1974 წლის 11 აპრილს. გახარებულმა ბერშუელებმა გულწრფელად მიულოცეს ოჯახს ვაჟიშვილის მოვლინება და სოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინვე იწინასწარმეტყველეს მისი ვაჟაკობა, რაც თავისი შედარებით ხანმოკლე სიცოცხლით ნამდვილად დაამტკიცა და დაადასტურა.

* ბერშუეთი – სოფ. გორის რაიონში.

როინ ზაუტაშვილმა დროულად და ხარისხიანად მიიღო როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება და მთელი თავისი არსებით ჩაერთო როგორც საკუთარი ოჯახის, ისე საზოგადოებრივი ფორმაციის მისთვის „განკუთვნილი“ უბნის (სფეროს) აღმშენებლობის ისტორიულ საქმეში.

ბატონი როინისა და ქალბატონი ლელას შრომისმოყვარე ოჯახში აღიზარდა ოთხი სანატრელი შვილი (გიორგი, ხატია, ვერიკო, დემეტრე).



მარცხნიდან - მეუღლე (ლელა), როინი და შვილები - ხატია, გიორგი, ვერიკო

ბატონი როინი წლების განმავლობაში იყო ზედღუღეთის** თემის საკრებულოს ხელმძღვანელი და მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერჯია მოახმარა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას და განსაკუთრებულად, შედარებით გაჭირვებული ოჯახებისა თუ ცალკეული ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენას მისთვის შესაძლებელ ფარგლებში.

როინი შეიყვარა ხალხმა, პატივს სცემდნენ მის დაუოკებელ საკეთილდღეო მოღვაწეობას და მზად იყვნენ მდგარიყვნენ მის გვერდში.

**„...მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?..“
(ნ. ბარათაშვილი)**

მოწმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰგავდა როინის სიკვდილის ამბავი.

არავინ იცის სად, როდის და რა ვითარებაში გადაიკვეთა კორონავირუსისა და როინის გზები, სად შეეხნენ ისინი ერთმანეთს და ა.შ.

გავრცელებული ხმების თანახმად, როინ ზაუტაშვილის გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა, თუკი შესაბამისი სამედიცინო თუ სხვა დამხმარე სამსახურები იქნებოდნენ უფრო კარგად აღჭურვილები,

** ზედღუღეთი – სოფ. გორის რაიონში.

უფრო მაღალ დონეზე მომზადებულები და უფრო მიზანსწრაფულები...

სოფ. ბერშუეთის მოსახლეობა ალბათ ვერასოდეს შეეგუება მზიური ვაჟკაცის მიწაში ყოფნას. უნაგირას სასაფლაოზე ისმის ცრემლიანი ქარის ზუზუნი, რომელიც მწარე ქვითინს წააგავს. როინს ლექსით დაემშვიდობა განუერვლი მეგობარი, ცნობილი ქართველი პოეტი აკაკი ბიძინაშვილი:



მარცხნიდან - გულიკო ყირიმელი, როინ ზაუტაშვილი, აკაკი ბიძინაშვილი, ანიკო ყირიმელი ი. ბ. სტალინის მუზეუმის ეზოში

სიკვდილმა შავი დროშა გაშალა,
დაშალა, როინ, შენი აფრები.
ვარდით ნაფერმა შენმა გზა-შარამ
დაკეცა ფრთები ცაში საფრენი.
იმ სამოთხემდე რაღა გაკლია,
ახლოს ხარ, მოგდეკს ცრემლის მორვევი,
ანგელოზები მიწას გაყრიან,
ყვავილს გაყრიან შენი ტოლები.
დასრულდა შენი ყველა იგავი,
სიცოცხლემ ძალზე ადრე გიგანა.
შენ ვაჟკაცობის ძეგლი იყავი
და გაგიტაცა „კოვიდ“-გრიგალმა.
სიცოცხლემ ტანზე შამოგახია,
მწუხარე დედა დადის ლანდივით
დებს და მეუღლეს შემოახვია
თავზე სიკვდილის ფერი მანდილი.

როინ ზაუტაშვილი გარდაიცვალა 2020 წელს. დაკრძალულია მშობლიური სოფლის უნაგირას სასაფლაოზე.

მაღალო დმერთო! აცხონე მისი უმანკო სული. მისი სიცოცხლის დაკარგული დღეები შეკმატე მის შვილებს.

კობერიძე თამაზი (შოთა)

„...გზაა ციურ საუფლოში ერთი –
ამაღლდება მხოლოდ სათნო სული...“
(იოჰიმ დიუ ბელე)



ცნობილია, რომ საქართველოს უღამაზესი კუთხის, რაჭის წარმომადგენლები გამორჩეულნი არიან კეთილგანწყობით, შინაგანი სითბოთი, შრომის დიდი სიყვარულით და რაღა თქმა უნდა – სიღინჯით.


სწორედაც რომ ამ ნიშნებით გახლდათ გამორჩეული ბატონი თამაზი (შოთა), რომელიც დაიბადა ხაბაზის (ივანე კობერიძის) ოჯახში 1940 წ. 24 მაისს. თამაზის მამა იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა „გორვაჭრობის“ ქსელში (გარდ. 1973 წ.)

თამაზის (შოთას) დედა, ქალბატონი ეკატერინე (კალისტა) სიმონის ასული ჩიკვილაძე გარდაიცვალა 1947 წლის მარტის თვეში და ასე დაობლდნენ ძმები თამაზი და ომარი (მუშაობდა მამაკაცის ტანსაცმლის მკერავ სისტემაში. გარდ. 2012 წ. მისი მეუღლე ნუნუ ჯავახიშვილი ორი შვილით და სამი შვილიშვილით ამჟამად ცხოვრობენ ქ. ასტრახანში).

ბატონ თამაზ კობერიძის მეუღლე გახლავთ გორში ყველასთვის კარგად ცნობილი ინჟინერ-ტექნოლოგი ქალბატონი ციალა კობერიძე, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა ქ. გორის წამყვან სამეურნეო-სამრეწველო ობიექტებში და გამოირჩეოდა განათლებულობით და აქტიურობით (ამჟამად პენსიონერი).

თამაზმა და ციალამ აღზარდეს ორი უბრწყინვალესი შვილი: ზურაბი (54 წლის. ინჟინერ-მშენებელი. ზურაბის მეუღლე გახლავთ ინჟინერ-ტექნოლოგი თამარ ლობჯანიძე – 48 წლის) და ნანა (ექიმი, „გორმედის“ ხელმძღვანელი. ნანას მეუღლეა თეიმურაზ გივის ძე მურადაშვილი, აგრონომი).

ბატონ თამაზის (შოთას) და ქალბატონ ციალას ჰყავთ შვილიშვილები (გიორგი „თიბისი“ ბანკის მუშაკი) და ეკატერინე (სამედიცინო უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი) კობერიძეები და



გიორგი (ეკიმი. მუშაობს ავსტრიაში) და გივიკო (მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში) მურადაშვილები.

თამაზ კობერიძემ განათლების ე.წ. პირველი სტადია გაიარა და დაამთავრა 1961 წელს ქ. გორის ვაჟთა №2 საშუალო სკოლა და საღამოს სწავლების №1 სკოლა. პარალელურად მუშაობდა. აქტიურად ჩაება შრომით ფერხულში და ათეული წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და საოცარი მონდომებით ემსახურა თავის ქვეყანას, ქალაქს, ოჯახს (თითქმის 30 წელი იმუშავა გორის ე.წ. „რიალდმასკომში“ და შემდეგ შს-ს გორის განყოფილებაში.

მისი ახლობელ-ნათესავები აღნიშნავენ, რომ საღაც კი იმუშავა, ყველგან პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურაო (მძღოლის პროფესია უდიდესი პასუხისმგებლობის მატარებელი გახლავთ).

ბატონ თამაზს კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მიღებული აქვს შრომის ვეტერანის მედალი და სხვა ჯილდო, მადლობა თუ პრემია.

ახლობლები ღიმილით იხსენებენ – „შოთი პური უყვარდა და თიკუნად შოთა შეურჩიესო“.

ბატონ თამაზს ადრეულ ასაკში უყვარდა ჭადრაკისა და კალათბურთის თამაში. მიღებული აქვს მეორე სპორტული თანრიგი.

იმასაც სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ბატონ თამაზს საოცრად თბილი ხასიათი ჰქონდა და ძალიან უყვარდა ბავშვებიო. წყალში დახრობას გადარჩენილი ჰყავს პატარა ბავშვი და ასევე ქალბატონი ანეტა მეტრეველი (რაჭაში მცხოვრები ბრწყინვალე ქალბატონი).

ბატონი თამაზი ძალიან სტუმართმოყვარე კაცი გახლდათ. თამაზისა და ციალას ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ და საამო საღამოებს აწყობდნენ ახლობელ-ნათესავები, მეზობელ-მეგობრები და კოლეგები.

თამაზ კობერიძე გარდაიცვალა 2019 წლის 7 აპრილს. დასაფლავებულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში იყოს მისი სული.

მეყანწიშვილი გიორგი

არ მოგკლებია ქება-დიდება,
გვეგულებოდი ნუგეშიმედად...
შენთან ყოველი თავს გრძნობდა კარგად,
წახველ და ყოფა გვიქცევ დარდად.

გიორგი (გოგია) მეყანწიშვილი გახლდათ მართლაც რომ კოლორიტული პიროვნება.

საზოგადოებაში დიდი ცნობადობა და პოპულარობა, გარეგნული მიმზიდველობა, საუბრის ცეცხლოვანი მანერა, განსაკუთრებული ტემბრის მჭექარე ხმა, ექსტიკულაციის განსაკუთრებულობა, გულღიანობა და უბრალოება და ა.შ.



დაიხ, გიორგი მეყანწიშვილი გახლდათ გასული XX საუკუნის მეორე ნახევრის გორის თვალსაჩინო პიროვნება, რომელმაც თავისი შრომითი საქმიანობით, ადამიანებთან ურთიერთობებით, განსაკუთრებული მასპინძლობით და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით სამუდამოდ დაამახსოვრა თავი საზოგადოების ფართო წრეებს. და კიდევ ორი რამ – გიორგი (გოგია) მეყანწიშვილი იყო მაღალი კლასის თამადა და განსაკუთრებული იუმორის პატრონი.

გიორგი მეყანწიშვილი დაიბადა 1928 წლის 14 აგვისტოს გორის მაზრაში. საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა ბარათაშვილის სახელობის ინსტიტუტი. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სპორტკომიტეტს, სადაც თავი გამოიჩინა პრინციპულობით და ორგანიზატორული უნარით. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გორს შეემატა ქვეყნის, მსოფლიოს, ევროპის თუ ოლიმპიური თამაშების ათეულობით ჩემპიონი.

მომდევნო წლებში კი სათავეში ჩაუდგა გორის ტურისტულ სივრცეს და მრავალ ათას სტუმარს (მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან) შეაფარა საქართველო და ქართველობა.

ბატონ გიორგის მინიჭებული ჰქონდა ფიზიკური აღზრდისა და სპორ-

ტის დამსახურებული მოღვაწის წოდება. ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

გიორგი მეყანწიშვილის ოჯახში (მეუღლე – ქალბატონი ელენე კილაძე – დამსახურებული პედაგოგი, ლიტერატურულ-შემეცნებითი საზოგადოება „ბანოვანის“ წევრი) აღიზარდა ოთხი შვილი (დოდო, თინიკო, ლია, ვასიკო).

გიორგის და ელენეს ჰყავთ ათი შვილიშვილი.

თავისუფლებისა და კაიკაცობის მოყვარული მთასავით კაცი გარდაიცვალა 2004 წლის 14 ივლისს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი გაჟაკცური სული.

**„...მწვერვალს ის აღწევს და ის არის დიდების ღირსი,
ვინც გაჟაკცურს და სასარგებლოს მეობით ძებწავს...“
(პორაციუს ფლაკუსი)**

მუმლაძე ზურაბი (ზურა)

სასიამოვნო გამონაკლისის სახით, წინამდებარე ბიოგრაფიული ჩანახატი მინდა დავიწყო ფოტოსურათით, რომელზეც აღბეჭდილია ნები-სმიერი ადამიანისთვის და, რაღა თქმა უნდა, ზურა მუმლაძისა და ნინო ზაუტაშვილისათვის, სიცოცხლეში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ლამაზი და სანატრელი, ყველაზე უფრო ისტორიული და მიმზიდველი





სამუშაო უბანზე

წელი, თვე, დღე, რიცხვი, საათი და წუთები, წუთები, წუთები... როდესაც საძირკველი ევრება ახალ ოჯახს, რომელშიც ყველა ჩვენგანი ხედავს ცხოვრების მთავარ მიზანს.

ღიას, სურათზე სწორედაც რომ იმ წუთების დაბაზუხებული გამოხატულებაა ასახული, როდესაც ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებულები ზურა და ნინო (ნინო და ზურა) უბედნიერეს ადამიანებად თვლიან თავს... და დაიწყო და გაგრძელდა ის, რის შესახებაც ძალიან მოკლედ

(წიგნის ფორმატიდან გამომდინარე) მოგახსენებთ ქვემოთ.

ზურაბ (ზურა) ნოეს ძე მუშლაძე დაიბადა გორის რაიონის სოფელ ძევერაში 1949 წლის 29 აგვისტოს.

მშობლები: დედა – თამარ ივანეს ასული კენხუაშვილი (პროფესიით პედაგოგი). ქალბატონმა თამარმა წარჩინებით დაამთავრა (გახლდათ სახელობითი სტიპენდიანტი) გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ მოღვაწეობას, როგორც პედაგოგის, ისე სკოლის დირექტორის რანგში.

მამა – ნოე კონსტანტინეს ძე მუშლაძე გახლდათ ასევე პედაგოგი (სოფ. ძევერის სკოლაში) და სკოლის კარგადცნობილი და აღიარებული დირექტორი. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ძევერის სკოლა ჩადგა რესპუბლიკის წამყვანი სკოლების რიგში. ბატონმა ნოემ კოლმეურნეობას გამოაყოფინა ტერიტორია, რომელზედაც საქართველოს ბოტანიკის სამეცნიერო ინსტიტუტის მონაწილეობით ჩამოაყალიბა ე.წ. „მინიმეურნეობა“, სადაც მუშაობდნენ სკოლის მოსწავლეები, მოჰყავდათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. იმ დროისთვის ეს იყო სიახლე, რის შესახებაც სპეციალური ტელეგადაცემით იუწყებოდა ე.წ. „საკავშირო“ ტელევიზია.

ბატონი ნოე მუშლაძე გახლდათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

ბატონი ნოეს და ქალბატონი თამარის ოჯახში აღიზარდნენ ზურაბის და მარიამი (მარია) – მეცნიერებათა კანდიდატი. წლების განმავლობაში მუშაობდა არქეოლოგიის ინსტიტუტში. ამჟამად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის №23 სკოლაში. მეუღლე, ალექსანდრე ორჯონიკიძე, მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი. ჰყავთ სამი ერთმანეთზე უკეთესი შვილი, რომლებმაც სხვადასხვა წლებში მიიღეს უმაღლესი განათლება. ზურაბის ჰყავდა



დასკვნით ეტაპზე (მარჯვნიდან პირველი)

ძმა შოთა, რომელიც მოღვაწეობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე ლალი იოსებიძე. ჰყავთ სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი. სამწუხაროდ, შოთა მუშლაძე აღარ არის ცოცხალთა რიგებში. იგი გარდაიცვალა 2016 წელს.

ზურაბ (ზურა) მუშლაძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შრომითი ბიოგრაფიის საწყის ეტაპზე ზურაბ მუშლაძემ თავისი ნიჭი და უნარი მოსინჯა თბილისის სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციაში, მერე კი ხანგრძლივი დროით (ორგანიზაციის გაუქმებამდე) დაიკავა „თავისი“ ადგილი გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში, „ნიავეტომპრომში“. აი. აქ კი, მეცნიერების კერაში, აშკარად გამოიკვეთა ზურაბის ტექნიკური შესაძლებლობები – რამდენიმე წელიწადში იგი მტკიცედ და ფართო მასშტაბით ჩაეწერა მეცნიერ-მკვლევართა კოჰორტაში. მალე გამოჩნდა სამეცნიერო შრომები, დანერგილი და ამოქმედებული ავტორმატური კომპლექსები, გამოგონებები, რაციონალური წინადადებები და ა.შ რასაც, ბუნებრივია თან ახლდა დიპლომები, სიგელები, პრემიები და სხვა სახის წამახალისებელი ღონისძიებები.

ზურაბმა, ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში, ამოხსნა ე.წ. „ამოუხსნელი ამოცანა“. მან ეს გააკეთა სავესებით ახლებური მიდგომით და ახალი მეთოდებით, რითაც დაიმსახურა განათლების სისტემის ხელმძღვანელთა საყოველთაო შექება – მათ სჯეროდათ, რომ საქართველოს ეზრდებოდა დიდი მათემატიკოსი.

ზურაბ მუშლაძეს შესთავაზეს სწავლა გაეგრძელებინა თბილისის კომაროვის ე.წ. მათემატიკურ სკოლაში, მაგრამ მან თავისი სოფლის მშობლიურ სკოლაში არჩია ატესტატის მიღება.

ზურაბ მუმლაძე, „ნიაგრომატპრომის“ (და არამარტო) კოლექტივის საყვარელი პიროვნება იყო – სპორტული, განათლებული, თავმდაბალი, გულთბილი, კეთილი და უღალატო მეგობარი, მეუღლე, მამა.

მას შემდეგ, რაც პორიზონტიდან „გაქრა“ მეცნიერული მოღვაწეობის კონტურები და პერსპექტივები (გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური პერიპეტეებიდან გამომდინარე), ზურაბ მუმლაძემ გადაინაცვლა ფერმერული ბიზნესის პლატფორმაზე და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფრონტზეც მიადწია სერიოზულ წარმატებებს.

ზურაბის მეუღლე, ქალბატონი ნინო ზაუტაშვილი დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა მოწინავე პარტიულ-სამეურნეო სახელმძღვანელო პოსტებს. ამჟამად იგი ჩვეული ენერჯით ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას გორის №1 საჯარო სკოლაში.

ზურაბის და ნინოს შვილი ლევანი მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სმინისტროში. ამჟამად მას უკავია ქართლის რეგიონული განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობა. ლევანი სათუთად უვლის მამის მიერ დატოვებულ მეურნეობას სოფ. ძვეერაში – თავის ძვირფას მეუღლესთან ე. შაქარაშვილთან ერთად.

ზურაბ მუმლაძე მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა 2008 წლის 11 აპრილს. მისივე თხოვნის შესაბამისად, დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ძვეერაში.

ნათელში იყოს კარგი კაცის, ნამდვილი ვაჟკაცის სული.

**ვაჟკაცად იყავ დაბადებული
და ვაჟკაცურად გახარჯე წლები,
საქმენი ჭედე ფრიად ქებული,
ცოდნის, ნიჭის და სიკეთის ხლებით.
იყავი კაცი ყაიდის სულ სხვა,
დღეს რომ აღარ გეყავს, დავეძებთ სანთლით,
ვერა დაგაკლო სიცხემ თუ სუსხმა...
მამულს ამკობდი უჭკნობი მადლით.
არ დაგივიწყებთ, არა და ვერა,
შენ არ იყავი სიბნელის ღირსი...
დიდი ხანია და ახლაც გეჯერა,
მანდაც გაწუხებს ტკივილი სხვისი.**

მურადელი ვანო



„მოყვარესა მოყვრისაგან მოგონება უნდა შორით“ (შოთა რუსთაველი)

1999 წელს მკითხველმა მიიღო ისტორიული მნიშვნელობის საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი სახელწოდებით „გორელები“ (ავტ. ი. აივაზიშვილი, გ. ალავერდაშვილი), რომელშიც წარმოდგენილია ცხოვრების სხვადასხვა სფეროში განსაკუთრებით წარჩინებული გორელების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. მათ შორის არიან წარმოჩენილი ხალხური თუ კლასიკური მუსიკალური სფეროს ცნობილი ადამიანე-

ბი. იქვე ვკითხულობთ (გვ. 391): „...გორმა მუსიკის დარგშიც საკმარისად უხარკა ჩვენს ქვეყანას და ეს სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო; გორელებს ხომ ოდითგანვე მოსდგამთ ქართული სიმღერის დაუოკებელი სურვილი, ნიჭი და უნარი, ესმოდათ ჭეშარიტი მუსიკის ყადრი და ფასი...“

ამჟამად იკვეთება, რომ ხალხის მუსიკა-სიმღერების პოტენციურმა შესაძლებლობებმა თავი მოიყარა ისეთ გორელ კომპოზიტორებში, როგორც ბიცაა ვანო მურადელი, ალექსი მაჭავარიანი, სულხან ცინცაძე, გიორგი ცაბაძე, შალვა თაქთაქიშვილი და ამ დარგის ბევრი სხვა წარმომადგენელი.

წინამდებარე მცირედი ბიოგრაფიული მონახაზი ეძღვნება გორელ კომპოზიტორს ვანო მურადელს.

ვანო მურადელი დაიბადა 1908 წლის 6 აპრილს (ძველი სტილით 24 მარტს).

ვანოს მამა ილია ყოფილა თვალადი, ტანადი და მართლაც ახოვანი მამაკაცი. ვანოს დედა ელენე მეზურნიშვილი გამორჩეული ქალბატონი ყოფილა – მომცრო ტანის, მუდამ ხალისიანი და აქტიური, ტკბილად მოსაუბრე და აღერსიანი.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მომავალი დიდი ქართველი კომპოზიტორის ვანო მურადელის მშობლები დაჯილდოებულნი იყვნენ მუსიკალური ნიჭით. მათ ოჯახში ჩვეულებრივი მოვლენა იყო სიმღერების შესრულება გიტარისა და მანდოლინის აკომპანიმენტის თანხლებით.

ერთ-ერთ თავის მოგონებაში ვანო მურადელი ამბობს: „...ჩვენს ოჯახში ყველაზე მეტად გვიყვარდა ე.წ. შრომის სიმღერები „ოროველა“, „გუთნური“ და „ურმული“.

ვანო მურადელი ე.წ. გორის შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისში მუსიკალური ტექნიკუმის ვოკალურ განყოფილებაში, მაგრამ ხელმძღვანელებმა მასში აღმოაჩინეს კომპოზიტორებისათვის აუცილებელი მონაცემების უამრავი ნიმუში და საქმემ სწრაფად მიიღო სხვა მიმართულება – მურადელმა ერთ წელიწადში გაიარა სამწლიანი კურსი, შევიდა კონსერვატორიაში, რომელიც დაამთავრა 1931 წელს.

კონსერვატორიაში სწავლის წლებშივე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზო და დაიწყო დიდი ვ.ზ., რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მტკიცე ნაბიჯებით მიუყვებოდა XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორი.

წინამდებარე წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, მოკლედ ჩამოვთვლით: სად მუშაობდა, რა შექმნა, რა მოუწონეს, როგორ დააფასეს, რა დაუწუნეს და ა.შ.: სამუსიკო ნაწილის გამგე თბილისის ახალგაზრდობის თეატრში; პიესის „მზის დაბნელება საქართველოში“ მუსიკალური გაფორმება; ვანო გოძიაშვილთან ერთად საესტრადო მოღვაწეობა; ოთხი რომანსის შექმნა (დაწერა) ქართველი პოეტების ლექსებზე: „ქართული სიმფონიური საცეკვაო“ და რომანსების ციკლი; ს. კიროვის სსენების სიმფონია; სიმფონია, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმზე გამარჯვებას; ოპერები – „დიადი მეგობრობა“, „ბოგდან სმელნიცკი“, „მთელი გულით“, გორული სიმღერები“; ოპერეტები „ცისფერთვალა ქალიშვილი“, „მოსკოვი-პარიზი-მოსკოვი“; ექვსი საფორტეპიანო პიესა; კონტანტები, გუნდები, 300-ზე მეტი სიმღერა მათ შორის „ჩემო გორო“ და „გორის მოსწავლეთა სიმღერა“. ბატონმა ვანომ მუსიკალურად გააფორმა მრავალი სპექტაკლი და კინოფილმი.

პროფესიონალური, ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობის პარალელურად ვანო მურადელი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც:



საბჭოთა კავშირისა და რუსეთის კომპოზიტორთა კავშირების გამგეობების მდივანი; მოსკოვის კომპოზიტორთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი; მოსკოვის საქალაქო კომიტეტის წევრი; საბჭოს დეპუტატი; რუსეთის კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი; ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის გაერთიანებულ სიმფონიურ ორკესტრს; მინიჭებული ჰქონდა, როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის საპატიო წევრის წოდება.

შირის სახალხო არტისტის წოდება; ბატონი ვანო დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით, უამრავი დიპლომით, საპატიო სიგელით და სხვა. ორჯერ ჰქონდა მიღებული საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ბატონ ვანო მურადელის შესახებ ვსაუბრობთ წარსულ დროში... როგორც ამბობენ – „სიკვდილსაც კარგები მოსწონს“.

როგორც მისი უახლოესი ნათესავი, ვორში მცხოვრები მეცნიერ-მუშაკი ილია მურადელი ამბობს: „...ვანო ხშირად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის ქალაქებში, აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას, აცნობდა თავის შემოქმედებას და ა.შ. ერთ-ერთი მსგავსი მოგზაურობის დროს (1970 წელს) მოულოდნელად (14 აგვისტოს) ქ. ტომსკში ფეთქვა შეწყვიტა ერთ-ერთ თვალსაჩინო ქართველმა კომპოზიტორმა. დაკრძალულია ქ. მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი სული.

**„...ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირს!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?“**

(შოთა რუსთაველი)

მჭედლიშვილი ბიჭვი

მე მას ვიცნობდი, კარგად ვიცნობდი, რამეთუ ერთდროულად ვემსახურებოდით გორის ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტის საშვილიშვილო საქმეს და არცთუ წარუმატებლად.



გივი მჭედლიშვილი გახლდათ პიროვნება, რომელსაც შეეძლო მოსმენა და გაგება – გულიანი მოსმენა და ზედმიწევნით სწორი გაგება, რაც ხაზგასმით მიუთითებდა მის შინაგან-გენეტიკურ და ცხოვრების ფესდაფეს შექმნილ პრაქტიკულ შესაძლებლობებზე და ზოგადად – ინტელექტუალურობის დონეზე.

გივი მჭედლიშვილი დაიბადა 1938 წლის 4 იანვარს ქ. გორში გიორგი მჭედლიშვილისა და მარიამ ნონიკაშვილის მოსიყვარულე ოჯახში და იზრდებოდა ძმასთან, ლერისთან ერთად შრომისმოყვარეობის, სიკეთის

კეთების სურვილისა და მაღალი დონის ჰუმანურობის ატმოსფეროში.

...ანგელოზებმა აჩუქეს მზერა, ანგელოზებმა აუნთეს გული...“

გივიმ დაამთავრა გორის მე-4 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების პროფესიით (სპეციალობით).

სულ მალე გივი მჭედლიშვილი გახდა ცნობადი სახე თავისი განათლებულობის, ენერგიულობის, პრინციპულობისა და მაღალი შინაგანი კულტურის წყალობით – იგი უყვარდათ, მას პატივს სცემდნენ, მას უსმენდნენ და მისი სჯეროდათ. ყველგან, სადაც კი იმუშავა, თავისი წონადი სიტყვა თქვა და ღრმა პოზიტიური კვალი დატოვა. სხვადასხვა წლებში გივი მჭედლიშვილი მუშაობდა: ქ. გორის საკონსერვო ქარხანაში (ჯერ ტექნოლოგად, შემდეგ მთავარი საამქროს უფროსად; ქ. გორის ხილის წვენების ქარხანაში (სპირტის საამქროს უფროსად); „ცეკავშირის“ სასურსათო კომბინატში (საამქროს უფროსად) და სხვა. სიცოცხლის ბოლო 20 წლის განმავლობაში დაკავებული იყო სხვადასხვა სახის კომერციული საქმიანობით.



გივი მეუღლესთან და შვილთან (იოსებთან)

გივის მეუღლე – ლიანა იოსების ასული აბუაშვილი, შვილები ცირა და იოსებ მჭედლიშვილები.

1958-1960 წლებში გივიმ მოიხადა თავისი მამაკაცური ვალი და წარმატებით გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ერთიც უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული ხაზგასმით – გივი გახლდათ საოცრად გულთბილი პიროვნება, თითქოს დაბადებული იყო მხოლოდ სიკეთის კეთებისათვის.

გივი მჭედლიშვილი ოჯახს და მშობლიურ კუთხეს დაემშვიდობა 2016 წელს 78 წლის ასაკში და გაუდგა გზას სამუდამო სასუფეველისაკენ, გორის, კვერნაქის მთის სასაფლაოსაკენ.

გივის და მის მეუღლეს ქალბატონ ლიანას არასოდეს დაივიწყებენ მისი შვილები, სიძე, რძალი და შვილიშვილები: ცირა, იოსები, ზვინა ეცადაშვილი, ირმა ფანოშვილი, გივი, ლიკა და მარიამ მჭედლიშვილები და ირაკლი და მაკა ეცადაშვილები.

ნათელში იყოს თაფლივით ტკბილი და მთის ნაკადულივით ანკარა ვაჟაკის სული.

...აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა...“

(მესტვირე)

მჭედლიშვილი ლერი



ლერი ცხოვრების ისეთი წესით ცოცხლობდა, რომელიც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა.

ლერი მჭედლიშვილისათვის ჩვეულებრივი რამ იყო: მტკიცე ხასიათი, მომთხროვნელობა, პრინციპულობა და პატიოსნება.

ლერი გიორგის ძე მჭედლიშვილი დაიბადა 1936 წელს გორში. მისი მამა, გიორგი მჭედლიშვილი იყო სამხედრო მფრინავი ოფიცერი, რომელიც დაიდუპა (1945 წ. 31 მარტი) მეორე მსოფლიო ომში, უნგრეთის დედაქალაქის ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. დაკრძალულია იქვე (იხ. სურათი).

ლერის დედა, ქალბატონი მარიამ ივანეს ასული ნონიკაშვილი გახლდათ საუკეთესო მკერავი და მზრუნველი დიასახლისი (გარდ. 2004 წ.). გიორგისა და მარიამის ოჯახში აღიზარდა კიდევ ერთი ვაჟკაცი, ლერის ძმა გივი (გარდ. 2016 წ.).

ლერიმ დაამთავრა გორის მე-4 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო ინსტიტუტი მექანიზაციის სპეციალობით (1962).

ბევრ მნიშვნელოვან უბანზე და თანამდებობაზე მუშაობდა ლერი მჭედლიშვილი და ყველგან სასიკეთო და დასამახსოვრებელი კვალი დატოვა: საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო გაერთიანება; საქსოფლტექნიკის რაიონული საწარმო; სოფ. ზედდუღეთის კოლმეურნეობა; მეფრინველეობის ფაბრიკა; ავტოსატრანსპორტი გაერთიანება; მელიორაციის ტრესტი „მტკვარწყალმშენი“ და სხვა.

ლერიმ და მისმა მეუღლემ (ვერიკო ლადოს ასული ციცაგი. მკერავი-დიზაინერი. 1936-2016 წ.წ.) ქვეყანას აღუზარდეს ორი შვილი – იზა და გიორგი მჭედლიშვილები. იზა მჭედლიშვილი (დაბ. 1961) გახლავთ სტომატოლოგი, ხოლო გიორგი (დაბ. 1962) – ეკონომისტი.

იზას მეუღლე გიორგი რაზმაძე გახლავთ ასევე სტომატოლოგი, ხოლო გიორგის მეუღლე ხათუნა კარიჭაშვილი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას (ინგლისური ენა და ლიტერატურა).

სამწუხაროა, რომ ლერი მჭედლიშვილი და ვერიკო ციცაგი ვეღარ

გაპყვებიან მხარდამხარ ცხოვრების ურთულეს ბილიკებზე ძვირფას შვილიშვილებს: ლევან და ნათია რაზმაძეებს და ნინო და ლერი (უმცროსი) მჭედლიშვილებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლერისა და ვერიკოს მონაგარი ღირსეულად მოუფრთხილდება ოჯახურ ტრადიციებს და არასოდეს მისცემს დაეწეებას ძვირფასი წინაპრების ხსოვნას.

ლერი გიორგის ძე (უფროსი) მჭედლიშვილი განისვენებს გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.



ქ. ბუღაპეშტში (მარცხნიდან მეოთხე)

**„„გამისწნია ყველა კვანძი, რაც შეკრულა ქვეყნად საღმე, სიკვდილისა ვერ გაგხსენი, რასაც ყველა ემონება...“
(ომარ ხაიაში)**

სოსანიძე ვახტანგი



„...არ იშურებდი სიკეთეს, ღიმილს, სინდის-ნაშუსის გშეწოდა ქუდი, დრო კი არ გვიწოდებს, უღმობლად მიდის... გვანსოვს, რომ გბუღდა ფლიდი და ქურდი...“

ვახტანგ სოსანიძე გახლდათ ისეთი პიროვნება, რომელმაც უპრობლემოდ, სიცოცხლის შედარებით მოკლე პერიოდში თავის გარშემო შექმნა კეთილისმსურველ ადამიანთა (ნათესავ-ახლობლები, მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები, კოლეგები, თანამოსუფრენი და ა.შ.) საოცრად დიდი წრე და ატმოსფერო. მან

ეს სრულად დაიმსახურა თავისი 63-წლიანი სიცოცხლით.

ვახტანგი დაიბადა 1932 წლის 17 იანვარს ქ. გორში, სტეფანე სოსანიძისა და პელაგია დადიანიძის ოჯახში.

ვახტანგის მამა, სტეფანე გახლდათ ვაჭრობის სფეროს გამოცდილი სპეციალისტი. ბატონი სტეფანე მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნდა საბრძოლო ორდენ-მედლებით მკერდდამშვენებული.

აღნიშნულ ოჯახში იზრდებოდნენ აგრეთვე ვახტანგის და ციური და მისი ძმა შოთა. ციურიმ და შოთამ შექმნეს საჩვენებელი ოჯახები და ქვეყანას აღუზარდეს სამ-სამი შვილი.

ვახტანგ სოსანიძემ დაამთავრა გორის ვაჟთა №1 საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო ჯერ საავიაციო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ვახტანგი, მთელი თავისი შესაძლებლობების გამოყენებით, პატიოსნად ემსახურა ეკონომიკის სფეროს. წარმატებული მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი შრომითი ჯილდო. ხუმრობით ამბობდა ხოლმე, რომ მამჩამეზე მეტი ჩინ-მედლები მაქვსო.


საოცარი მეოჯახე კაცი გახლდათ ბატონი ვახტანგი. მან თავის სათაყვანებელ მეუღლესთან (იზოლდა გოზალიშვილი) ერთად ქვეყანას მოუვლინა და აღუზარდა სამი ერთიმეორეზე უკეთესი შვილი: ციცინო, ნანა და ზაალი.

ციცინომ რამაზ ელიაშვილთან ერთად აღზარდა ნინო ელიაშვილი, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ნანამ აღზარდა ორი ვაჟი, ლაშა და გიორგი ლოთიშვილები. გიორგის ჰყავს შვილი, ლუკა.

სამწუხაროა, რომ ქ. გორის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, შრომისმოყვარეობით და პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული პიროვნება ვახტანგ სოსანიძე აღარ არის ჩვენს შორის.

იგი მძიმე ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა 1995 წ. 8 ნოემბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. აქვეა დასაფლავებული (დაიღუპა ავტოავარიაში 2004 წლის აგვისტოში) ვახტანგის ვაჟი



ვახტანგის შვილი ზაალი

ზაალი, რომელსაც დარჩა მეუღლე ქეთევანი და ვაჟიშვილი ვახტანგი (პაპის მოსახელე).

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მონაგარი, რათა დავიწყებას არ მიეცეს ძვირფასი წინაპრების ხსოვნა.

**ასე გვევლინა ისევ ჩვენთან ხარ,
კვლავ გვინაწილებ სიყვარულს, სითბოს,
მოვლენილ იყავ ხელხვაგ ვენახად...
დღეს შენისთანებს მამული ითხოვს.**

ქურდაძე რეზო

ქართულ ხალხურ ფოლკლორში ბრძნულ გამონათქვამებს შორის გვაქვს ასეთიც: „...აწგარდაცვლილებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო...“

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რეზო ქურდაძის, მისი მეუღლის ნათელას და მათი შვილის თორნიკეს შესახებ მხოლოდ კარგის თქმა შეიძლება აწ და მარადის, რამეთუ ისინი გამოირჩეოდნენ საოცარი ენერგიულობით და შრომისმოყვარეობით, სტუმარ-მეზობლების სიყვარულით, მიმზიდველი კომუნიკაბელურობით და რაც ყველაზე მთავარია – გამოკვეთილი და ამაღლებული პატრიოტიზმის სულისკვეთებით.



„ღმერთო მაღალო!“... ხშირად მითქვამს ანთებულ სანთელთან... „გვიმრავლე ასეთი ადამიანები!“...

ნათელაში იყოს რეზო ქურდაძის, ნათელა გოგინაშვილისა და თორნიკე ქურდაძის სულები; მონაგარი არასოდეს დაივიწყებს მათ.

**„...გქონდათ მიზანი ისტორიულ-ტრადიციული;
ძლიერი კერა, ძლიერი ნება, გენი ძლიერი,
დღეს თაგზე გადგათ სანთლით ხელში ღოცვა ციური,
თქვენს მონაგარს კი ვაჟკაცური შეენის იერი...“**

რეზო ქურდაძე დაიბადა 1937 წლის 10 აპრილს დაბა სურამში იოსებისა და მარიამის მშრომელ ოჯახში, სადაც ასევე აღიზარდნენ რეზოს დედმამიშვილები: აკაკი, შურა, შოთა, ვლადიმერი.

რეზომ დაამთავრა სურამის მე-2 საშუალო სკოლა და უმაღლესი განათლების მისაღებად ეწვია ქ. თბილისს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეზო ქურდაძეს ბავშვობიდანვე იტაცებდა სხვადასხვა სახის ტექნიკა და აკი აისრულა კიდევ ოცნება და გახდა რადიოტექნიკის უმაღლესი განათლების ინჟინერი.

ძალიან ხშირად ცხოვრებაში ხდებოდა და ახლაც ხდება, როდესაც უმაღლესი განათლების დიპლომის მოპოვების შემდეგ ადამიანები იწყებენ ფიქრსა და ზრუნვას საკუთარი ოჯახის შექმნაზე და სიცოცხლისა და ცხოვრების ყველაზე აქტიური ეტაპი იწყება შრომითი ბიოგრაფიის დაწყებისა და საკუთარი ოჯახის ბალავარის ამოყვანით. ასე იყო ამ შემთხვევაშიც.

რეზო ქურდაძე გახლდათ აქტიური ქმედებებისა და სიახლეების დანერგვის მოყვარული და აღმასრულებელიც. მისი შრომითი ბიოგრაფიის



ნათელა გოგინაშვილი (1935-2019)

საწყის ეტაპებზე გამოჩნდა, რომ იგი წარმატებული სამეურნეო მუშაკად ჩამოყალიბდებოდა, რაც შემდგომში მისმა მოღვაწეობამ დაადასტურა.

რეზო ქურდაძემ წლების განმავლობაში იმუშავა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში („ნიიავტომატპრომი“) და „თავისი“ სიტყვა თქვა: შემდეგ იყო საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ფლაგმანის „სამტრესტის“ ცენტრალური ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, შემდეგ „სამტრესტის“ საპროექტო ბიუროს ავტომატიზაციის განყოფილების უფროსის მოადგილე და ა.შ.

სადაც იმუშავა, ყველგან პირვინდად მოიხადა თავისი კუთვნილი „ვალი“, როგორც ქვეყნის, ისე საზოგადოების და რაც მნიშვნელოვანია – საკუთარი ოჯახის წინაშე.

მის წარმატებულ მოღვაწეობაზე მეტყველებს მიღებული სიგელები, დიპლომები, მადლობები, პრემიები და სხვა. იგი ავტორია მრავალი გამოგონებისა, რაც განმტკიცებულია შესაბამისი საავტორო უფლებებით.

რეზო ქურდაძემ ოჯახი შექმნა მშვენიერ პიროვნებასთან, ნათელა

გოგინაშვილთან ერთად. გავიდა წლები და რეზოსა და ნათელას შრომით ამოქარგულ ოჯახში აღიზარდა სამი ვაჟკაცი – თამაზი, თორნიკე და კახაბერი..

ქალბატონი ნათელა დაიბადა 1935 წლის 2 თებერვალს გორის რაიონის სოფ. ტირძნისში გიორგი და თინათინ გოგინაშვილების ოჯახში. მასთან ერთად, სოფელში კარგადცნობილ და საპატივცემო ოჯახში აღიზარდნენ ნათელას დედმამიშვილები: მარიამი, სოფიკო, თამარი, ეთერი, ლუბა, სუელიკო.

ქალბატონი ნათელა გამორჩეული იყო შრომისუნარიანობით და ხასიათის გამოსატყული პრინციპულობით.

ნათელა გოგინაშვილმა დაამთავრა ტირძნისის საშუალო სკოლა. შემდგომ წლებში მისი პირადი შრომითი ბიოგრაფია გამდიდრდა სხვადასხვა სახის ჩვეულებრივი სიმძიმის თუ განსაკუთრებულად რთული ხასიათის სამუშაოებით, რომლებსაც როგორც წესი, წარმატებით ართმევდა თავს.



ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი



თორნიკე ქურდაძე (1968-1994)

წლების განმავლობაში მუშაობდა ქალბატონი ნათელა ქ. გორის სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის სისტემაში ბუღალტრად. 1977 წელს რეზო ქურდაძისა და ნათელა გოგინაშვილის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. მეუღლის ავადმყოფობის გამო ნათელამ დროებით მიატოვა სამსახური, ხოლო მოგვიანებით დაიწყო მუშაობა გლდანის რაიონში ერთ-ერთ საქმმართველობაში მთავარ ბუღალტრად. იქვე ეწეოდა პარტიულ საქმიანობასაც – არჩეულ იქნა ორგანიზაციის პარტიული ბიუროს მდივნად.

მისასალმებელია, მისაბაძი და საამაყო, რომ ქალბატონმა ნათელამ სამ-

შობლოს აღუზარდა სამი გულანთებული ქართველი ვაჟკაცი, რომლებიც „სმალამოდებულები“ იცავდნენ თავიანთ მიწაწყალს გასული საუკუნის 90-იან წლებში. კაიდებობაც ამას ჰქვია და კაიშიელობაც.

თორნიკე სწავლა დაიწყო გორის №2 საშუალო სკოლაში. ოჯახის თბილისში გადასვლის შემდეგ სწავლა გააგრძელა დედაქალაქის №115 სკოლაში. 1986-88 წლებში მთიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური რუსეთში. დაოჯახდა და ოჯახი შექმნა ტატიანა სტარიკოვასთან ერთად ქ. ხაბაროვსკში. 1989 წლის 1 ოქტომბერს ეყოლათ შვილი ნათელა ქურდაძე.



**ძმები თამაზი (მარცხნივ)
და თორნიკე**

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ხაბაროვსკში, მოსკოვში, თბილისში იყო წარმატებული ბიზნესში. მიიღო უმაღლესი განათლება თბილისში. საქართველოში საომარი მოქმედებების დროს 1992-1993 წლებში მონაწილეობდა ოჩამჩირეში განთავსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადის შტაბის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში ერთ-ერთი სამხედრო დანაყოფის მეთაურის რანგში. 1993 წლის ივლისში ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშთან, ე.წ. „პიტომნიკის“ ტერიტორიაზე ბლოკირებული რუსული დესანტის განადგურების ოპერაციის წარმატებით დასრულებისთვის, სახელმწიფო მეთაურის მიერ დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

ომის შემდეგ დაინიშნა საქართველოს მაშველთა კორპუსის ოპერატიული სამმართველოს უფროსად, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე. 1994 წლის 16 ოქტომბერს ქ. ცხინვალის შესასვლელთან მასზე ოსმა სეპარატისტებმა განახორციელეს თავდასხმა. მიიღო მრავლობითი, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ჭრილობა. გარდაიცვალა 17 ოქტომბერს 26 წლის ასაკში.

ნელ-ნელა, წლების ორომტრიალში ბზარი გაუჩნდა მერცხლების ბუდესავით თბილ და საიმედო ოჯახს, ნაშენებს და ნაძერწს განსაკუთრებული გარჯითა და სიყვარულით. ჯერ იყო და სეპარატისტების აღვირახსნილობას შეეწირა საქები ვაჟკაცი თორნიკე ქურდაძე და მერე სამუდამო სასუფეველისკენ გზას დაადგნენ ჯერ რეზო ქურდაძე (2016),


ხოლო შემდეგ ნათელა გოგინაშვილი (2019).

სამივე მათგანი განისვენებს ქ. თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ხსოვნა და არდავიწყება ყოფილი-ყოს მათი.

„...იქ ნათელი დაადგეთა...“

**„...ხშირად ცხოვრება
სიმწარეს მატებს,
შრომით და ბრძოლით
დაქანცულ გულებს...“
(ოვიდიუს ნაზონი)**



თორნიკე ქურდაძე

ქურდაძე შოთა

**„...გონიერი კაცი
ქვეყანას ამშვენებს...“**

(ქართული ანდაზების საგანმუშრიდან)



დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, შოთა ქურდაძე ამშვენებდა ქვეყანას თავისი განსწავლულობით, მაღალი შინაგანი კულტურით, თავმდაბლობით, პრინციპულობით და სამშობლოს უანგარო სიყვარულით, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალგაზრდა თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა-განათლებლაზე, რასაც იგი მიიჩნევდა თავის უპირველეს საშვილიშვილო მოვალეობად. მოვალეობის პირნათლად შესრულება კი შოთა ქურდაძეს შეეძლო ყველგან, ყველაფერში და ყოველთვის და ეს კარგად იყო ცნობილი არამარტო შიდა ქართლში.

შოთა იოსების ძე ქურდაძე დაიბადა ხაშურის რაიონის სოფ. იტრიაში 1926 წლის 17 აგვისტოს ღარიბი გლეხის ოჯახში. დედა, ქალბატონი მარიამ ლომიძე გახლდათ წარმოშობით სოფ. ხუნევიდან.

შოთა ქურდაძემ 1944 წელს დაამთავრა სურამის №1 საშუალო სკოლა (მის კლასში სწავლობდა მომავალი მეუღლე ნინო რაჭვინის ასული გველეხიანი), რის შემდეგაც გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასაწველად (იმ დროისთვის წვევამდებებს ფრონტზე აღარ აგზავნიდნენ, ვინაიდან ფაშისტები უკვე განდევნილ იყვნენ სსრკ-ს ტერიტორიიდან). სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ (1946 წ.) მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის, სტალინის სახ. უნივერსიტეტში, სადაც პრიორიტეტი ენიჭებოდა ნაომარ ახალაგზრდებს. შოთა იძულებული გახდა სწავლა გაეგრძელებინა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1950 წელს შოთა ქურდაძემ დაიწყო თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი – შექმნა ოჯახი ნინო გველეხიანთან ერთად და შეუდგა შრომითი ბიოგრაფიის მშენებლობას ჯერ 8-წლიან სკოლაში პედაგოგად, შემდეგ სოფ. აღის საშუალო სკოლის დირექტორად.

სულ მალე შოთა ქურდაძეს შესთავაზეს ალკკ ხაშურის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა და აქ უკვე მან გამოამჟღავნა მთელი თავისი ორგანიზატორული ნიჭი ახალაგზრდობასთან მუშაობის საქმეში.

შოთა ქურდაძემ გამოზარდა, გაანათლა, დამოძღვრა და სასიკეთო სამომავლო გზებზე დააყენა ათასობით ახალაგზრდა და ამით პირნათლად მოიხადა ვალი თავისი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ახლა კი დავბრუნდეთ ცოტა უკან...

1951 წელს შოთა ქურდაძისა და ნინო გველეხიანის ოჯახში იზეიმეს პირველი ვაჟიშვილის, პაატას დაბადება. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ მოსიყვარულე, თბილ ოჯახს შეემატა ბრწყინვალე გოგონა რუსუდანი, რომელიც დღეს სამწუხაროდ აღარ არის ჩვენს შორის (გარდ. 2020 წ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1954 წელს ქალბატონმა ნინომ მობილიზაცია მოახდინა მეთელი ოჯახური მატერიალური შესაძლებლობებისა და მეუღლეს, რომ იტყვიან მოსთხოვა – დროებით ეცხოვრა თბილისში და დაემთავრებინა ასპირანტურა, თავად კი თავისი შესაძლებლობები სრულად მიუძღვნა ოჯახზე ზრუნვას.

შოთა ქურდაძემ ორ წელიწადში გაიარა სამწლიანი ეტაპი, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და შრომა გააგრძელა სურამის სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანამდებობაზე, საიდანაც (ორი წლის შემდეგ, 1956 წელს) გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, რექტორ გიორგი ხარაულის მიწვევით, იკავებს ისტორია-ფილოლოგიისა

და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დეკანის თანამდებობას.

1960 წელს შოთას ოჯახში დაიბადა მეორე გოგონა მიაა ქურდაძე (ამჟამად გორის №1 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი), ხოლო 1961 წელს რამაზ ქურდაძე (ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორი და აკაკი შანიძის სახელობის ქართული ენის ინსტიტუტის დირექტორი).

1969 წლიდან შოთა ქურდაძე უკვე ინსტიტუტის პრორექტორია ვიდრე 1981 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ 1968 წელს შოთა ქურდაძემ (პირველად გორის ინსტიტუტის ისტორიაში) დაიცვა დისერტაცია დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შოთა ქურდაძის ოჯახის ბედნიერი წლები და დღეები უცბად შეჩერდა და მწუხარებამ დაისადგურა საოცრად თბილ კერაში. გარდაიცვალა შოთას მეუღლე, უბრწყინვალესი ქალბატონი, დედა და მეუღლე ნინო გველესიანი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას – პირველი ვიოლინოს როლს ასრულებდა ოჯახის განვითარების საქმეში, შვილების განათლების საქმეში და მეუღლის, ბატონი შოთასთვის ყოველმხრივ სასურველი ატმოსფეროს შექმნაში, რათა მას შესძლებოდა განათლებულობისა და მეცნიერების უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა.

შოთა ქურდაძემ ამჯერად ცხოვრების თანამგზავრის რანგში არჩევანი შეაჩერა ქალბატონ მაყვალა ოქროპირიძეზე.

შრომის შემდგომ წლებში შოთა ქურდაძე მორიგეობით იყო: ქ. ცხინვალის პედ. ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, მოგვიანებით კი ინსტიტუტის პრორექტორი; 1992 წლიდან ცხინვალიდან ლტოლვილი ინსტიტუტის კათედრის გამგეა; 1994-1997 წლებში შოთა ქურდაძის ინიციატივით გორში იქმნება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი, რომლის დირექტორიც თავად გახლდათ.

1995 წლიდან შოთა ქურდაძე გვევლინება საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების ერთ-ერთ ინიციატორად (ნათელა ვასაძესა და სხვებთან ერთად) და მის აქტიურ წევრად.

შოთა ქურდაძე 2007 წლიდან განაგრძობს მუშაობას ცხინვალისა და გორის გაერთიანებული უნივერსიტეტების ე.წ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია, რომ ბატონ შოთა ქურდაძეს 2015 წელს მიენიჭა ემერიტუსის წოდება, რაც სავსებით დაიმსახურა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, მეცნიერმა და მეოჯახემ.

ბატონი შოთას შემოქმედება ფრიად ნაყოფიერი და მრავალწახნაგოვანი გახლავთ: მონოგრაფიები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები სწავლების მეთოდოლოგიაში; ბოლო წლებში გამოსცა ენციკ-

ლოპედიური ხასიათის მონოგრაფია „პედაგოგიური ტერმინოლოგიური მასალების ნარკვევები (V-XIX საუკუნეები)“; ბატონი შოთა გახლავთ 200-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი.

ორიოდ სიტყვით ასე ვიტყვოდი – შოთა ქურდაძე გახლდათ ქართული მეცნიერებისა და ზოგადად პედაგოგიური მოღვაწეობის უსახლვრო და უძველესი სფეროს ერთ-ერთი ბუმბერაზი წარმომადგენელი.

შოთა ქურდაძე გარდაიცვალა 2017 წლის 12 აგვისტოს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში იყოს მისი სული.

იმედი გვაქვს, რომ მისი ცხრა შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი არ დაივიწყებენ ძვირფას წინაპარს.

კარგად არის ნათქვამი:

**„...მართალი უთქვამთ – დრო-ჟამთა სვლაში
კაცის ქმნილებას შთანთქავსო ლეთა;
მაგრამ უკვდავთა საქმეს ვერ წაშლის
ხსოვნაში ქროლა საუკუნეთა!“**

(ბაირონი)

ლოლიჯაშვილი არსენა

„...თუ გსურთ ეზიაროთ ბედნიერებას,

შეწყვიტეთ ფიქრი მადლიერებასა და უმადურობაზე...“

(დეილ კარნეგი)

მთელი სიცოცხლის განმავლობაში საკუთარი მარჯვენით და შინაგანი მოწოდებით ქმნიდა ბედნიერების საწყისებს და საშუალებებს და ყოველგვარი ანგარების გარეშე უხვად აფრქვევდა ირგვლივ.



ყო დრო, როდესაც ადამიანის შრომისმოყვარეობას, შრომის შედეგებს ხედავდნენ და აფასებდნენ – დაფასება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ წარმატებულ მშრომელებს აქებდნენ, აჯილდოებდნენ, პრემიას აძლევდნენ, აწინაურებდნენ, ლექსებს

უძღვნიდნენ, დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ და ა.შ.

არსენ ზაქარიას ძე ღოლიჯაშვილი იყო ერთ-ერთი იმათაგანი, რომელთა შესახებ ტელევიზიით თუ ბეჭდური მედიით ხშირად ისმოდა საქები სიტყვები, ისინი იწოდებოდნენ სანიმუშო და მისაბამ მოქალაქეებად და ა.შ.



ოჯახის წევრებთან

ბატონი არსენ ღოლიჯაშვილი გახლდათ უაღრესად კეთილშობილი და გამგები პიროვნება. იგი უყვარდათ, პატივს სცემდნენ, მისი იმედი ყოველთვის ჰქონდათ.

არსენ ღოლიჯაშვილი დაიბადა 1924 წლის 14 მაისს გორის რაიონის სოფელ რეხაში, გლეხის ოჯახში. მისი მამა ზაქარია იყო სოფლის მეცნიერი, რომელიც მეხის დაცემას შეეწირა. დედა, ქალბატონი მარიამი სოფელში ითვლებოდა საუკეთესო დიასახლისად.

არსენ ღოლიჯაშვილმა დაამთავრა სოფ. კარალეთის საშუალო სკოლა. თერამეტი წლის ასაკში გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში, სადაც პირნათლად ასრულებდა საზღვრების დაცვის (თურქეთთან) უწყმინდეს და ურთულებს მოვალეობას. მისი შრომითი ბიოგრაფიის ტემპი ოდნავ შენედა, როდესაც მან სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომის სპეციალობით. მოხდა ისე, რომ ოჯახს ძალიან გაუჭირდა, რის გამოც არსენამ თავი დაანება სწავლას და მთელი თავისი არსებით შეუდგა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებას და აღორძინებას. ფიზიკურად შრომობდა უწყვეტლევ, დღედაღამ, სიცივეში თუ სიცხეში. კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობის პერიოდში მიღწია არნახულ მიღწევებს ხილ-ბოსტნეულის მოყვანაში. არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა. მისი სახელი მალე გაიგო მთელმა საქართველომ და არა მარტო საქართველომ, გახეთ-ჟურნალებში ხშირად იყო მისი ფოტო და წერილი მისი შრომითი მიღწევების შესახებ.

1974 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება; არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატად; მიღებული აქვს ორდენი „შრომითი მამაცობისათვის“ და არაერთი მედალი და სხვა.

არსენ ღოლიჯაშვილმა და მისმა მეუღლემ ქალბატონმა თამარ გიორგის ასულმა ტვინიკაძემ ქვეყანას აღუზარდეს სამი ულამაზესი ქალიშვილი – დალი, მანანა და ზამირა. სამწუხაროდ, მანანა და ზამირა აღარ არიან ჩვენს რიგებში. დალიმ კი წარმატებით გააგრძელა ოჯახ-



ური ტრადიციები და უმაღლესი აგრო-ქიმიური სპეციალობის და-
უფლების შემდეგ ხანგრძლივი
დროის განმავლობაში მუშაობდა
სოფ. ბერბუკის მეურნეობაში.

არსენ ლოლიჯაშვილს ჰყავდა
ორი ძმა და ორი და.

ღვაწდმოხილი, სახელოვანი
მშრომელი კაცი გარდაიცვალა 74
წლის ასაკში (1998 წ.). ქალბატონი
თამარი გარდაიცვალა 1993 წელს.

მოსიყვარულე ცოლ-ქმარი დაკრძალულია სოფელ რეხას სასაფ-
ლაოზე.

იმედია, მათ არ დაივიწყებს მადლიერი საზოგადოება.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

ამონარიდი ტაგუ მეტურიშვილის წიგნიდან „მებაღეც უნდა ვიკით-
ხოთ“ (1975 წ.): „...არსენი შრომის გმირიც არის და თავისი სოფლისა და
რაიონის საყვარელი ადამიანიც; კაცი, რომელსაც აფასებენ, ენდობიან...“

ლოლობერიძე შოთა

„...მოვეც სინათლე გონებასა ჩემსა...“

რათა აღმოეთქვა ქებაი...“

(იოანე მინჩხი. „ქართული
სიბრძნის საგანძური“)

დიას, ბატონებო და ქალბატონე-
ბო – შოთა ლოლობერიძე გახლდათ
ის პიროვნება, რომლის მისამართი-
თაც საქებარ ეპითეტებს არ დაი-
შურებს არავინ – უგანათლებულესი,
უპატიოსნესი, უერთგულესი, ღიმილ-
იანი, კეთილისმსურველი, პატრიოტუ-
ლი სულისკვეთებით ამადლებული და
მაღალი შინაგანი კულტურით გაცის-
კროვნებული...





აი, ასეთ პიროვნებას ეხება ქვემოთ-მოყვანილი მოკლე ბიოგრაფიული მონახაზი და ამაყი ვარ, რომ ვიცნობდი მას.

შოთა გიორგის ძე ღოდობერიძე დაიბადა 1931 წლის 27 აგვისტოს ქ. ხაშურში, ბატონი გიორგისა და ქალბატონი ელენეს მიერ ფუძეჩაყრილ ოჯახში და საოცრად თბილ ატმოსფეროში იზრდებოდა და-ძმასთან (ნუნუ, მიხეილი) ერთად.

სად არ ისწავლა და სად არ იმუშავა საოცრად ნიჭიერმა, ენერგიულმა და განათლებულმა კაცმა. შთამბეჭდავია უბრალო და მოკლე ჩამონათვალი: დაწყებითი განათლება (ქ. ხაშური), თბილისის მე-3 საშ. სკოლა; ქ. კრაკოვის (პოლონეთი) უნივერსიტეტი; უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო; შეფჩენკოს სახელობის უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა; საკანდიდატო დისერტაცია (დავით გურამიშვილი უკრაინულ თარგმანებში); მირგოროდის საპატიო მოქალაქე; უცხო ენებისა და ლიტერატურის (გორის პედინსტიტუტი); ცხინვალის სახელმწიფო ინსტიტუტი (უცხო ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის დოცენტი); რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე (გორის უნივერსიტეტში) და სხვა.

ბატონმა შოთამ 1961 წელს უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ნაბიჯი გადადგა, როდესაც მშვენიერ გოგონასთან ერთად შექმნა ახალგაზრდა ოჯახი და მთელი ენერგიით შეუდგა პირადი ცხოვრების შემდგომი ეტაპის აღმშენებლობას.

ბატონმა შოთამ და ქალბატონმა ლენამ აღზარდეს ორი შვილი – გია და ლანა ღოდობერიძეები. სამწუხაროდ, გია ადრეულ ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა სავალდებულო სამხედრო სამსახურში მოვალეობის შესრულებისას (1981 წ.).

ლანას ჰყავს ერთი ქალიშვილი ნაზი შალუტაშვილი და შვილიშვილი ლახარე შუბითიძე.

უკრაინის ქ. ლვოვში სწავლისას, სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში („ბარათაშვილი და ბაირონი“) შოთას ჰქონდა ბედნიერება გაეცნო რუსული მწერლობის კლასიკოსი ბორის პასტერნაკი. შემდგომ პერიოდში შოთა ღოდობერიძეს მეცნიერული ურთიერთობები ჰქონდა როგორც რუსული, ისე უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსებთან,



(მარჯვნიდან) მწერალი ნოდარ სუნდაძე - ლტოლვილი აფხაზეთიდან, მწერალი ნოდარ გურეშიძე, დოცენტი შოთა ლოღობერიძე, აკადემიკოსი მიკოლა ბაჟანი, უკრაინელი საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი და უკრაინის მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე, არქიტექტორი ვალიკო მინდელი. ფოტო გადაღებულია კიევიში, გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო საღამოზე

რომლებთანაც მიმოწერას აწარმოებდა საქართველოში დაბრუნების შემდეგაც.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა შოთას ლიტერატურული მოღვაწეობა მშობლიურ ქვეყანაში.

შოთა ლოღობერიძე იყო საოცრად კომუნიკაბელური პიროვნება; მასთან ურთიერთობა ძალიან ადვილი და საინტერესო გახლდათ. იგი უყვარდა ყველას. მას უყვარდა ყველა, განსაკუთრებით მომავალი თაობები.

შოთა ლოღობერიძის სამეცნიერო შრომებმა და სახელმძღვანელოებმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავეს ქართული მეცნიერების წიაღში.

დიდებული ქართველი და საოცრად საინტერესო პიროვნება და მეცნიერ-პედაგოგი გარდაიცვალა 2010 წლის 10 ივლისს. დაკრძალულია მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში იყო მათი სულები.

იმედია – მონაგარი არ დაივიწყებს ძვირფას წინაპრებს.

**„...მზისკენ სავალ გზას
გამონახავს მხოლოდ ის კაცი,
ვის მარჯვენასაც შემოქმედის
მართავს შეგნება...“**

(მიქელანჯელო)

ყველაშვილები ნიკოლოზი და ვლადიმერი

მიხეილ ყველაშვილისა და მარიამ ჭიღლაძის შრომისმოყვარულ ოჯახში დიდი რუდუნებით და ჭკუშმარიტად ტრადიციული წესების შესაბამისად აღიზარდა სამი ერთმანეთზე უკეთესი შვილი, რომლებმაც თავისი მოკრძალებული წვლილი უანგაროდ შეიტანეს ქვეყნის განვითარების საქმეში.


მიხეილ ყველაშვილი მსახურობდა გორის რაიონის ატენის ხეობაში არსებულ ვიწროლიანდაგიან სარკინიგზო სისტემაში და პატიოსანი და დაუღალავი გარჯით ინახავდა ოჯახს. მარიამ ჭიღლაძეს ყველა იცნობდა, როგორც გამორჩეულ დიასახლისს და ყველას მოყვარულ ქალს.



ნიკოლოზი

ნიკოლოზ მიხეილის ძე ყველაშვილი დაიბადა 1905 წლის 24 თებერვალს. მისი ახლობელ-ნათესავები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ იგი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული გონიერებით და ნიჭიერებით. საწყისი განათლების სტადია და საფეხურები მან წარმატებით გაიარა და გიმნაზიის დამთავრებისთანავე თვალთამზერა მიაპყრო საქართველოს უნივერსიტეტს, მაგრამ უსახსრობის გამო მან ვერ შესძლო გამხდარიყო სტუდენტი. თუმცა, მალე გამოჩნდნენ მისი გულშემატკივრები, რომლებმაც უშუამდგომლეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და იგი 1924 წელს გახდა ქიმი-ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ნიკოლოზ ყველაშვილმა სწრაფად მოახერხა მეცნიერული მოღვაწეობის სფეროში თავისი ადგილის მონახვა; უფრო მეტიც – მან უნივერსიტეტის დამამთავრებელ ეტაპზე შესძლო დისერტაციის დაცვა და შესამაბისი სამეცნიერო ხარისხის მოპოვება. ახალგაზრდა სპეციალისტს მიანდეს სტუდენტებისთვის ლექციების წაკითხვა (ქიმი-ბიოლოგიაში) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შემდეგ კი იყო „მახტმშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილის, მერე კი მთავარი ინჟინრის თანამდებობა, რომელსაც ფლობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ნიკოლოზ ყველაშვილი გარდაიცვალა 1982 წ. 15 ივლისს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.



ვლადიმერი

ნიკოლოზის ძმა ვლადიმერი გახლდათ ელექტროინჟინერი. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო მაღალი ძაბვის სამმართველოს მთავარი ინჟინერი. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის ოჯახში.

ვლადიმერ ყველაშვილი გარდაიცვალა 1975 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

იგი გახლდათ ოთხი (სამი ვაჟი, ერთი ქალიშვილი) შვილის მამა.

ნიკოლოზისა და ვლადიმერის და ქალბატონი ნინა ყველაშვილი იყო აღმზრდელ-პედაგოგი და მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა საავშვო ბაღებში მოღვაწეობას და მომავალი

თაობების სწორ საცხოვრისო გზებზე დაყენებას.

ნინას მეუღლე ივანე კენხუაშვილი შეეწირა 1937-იანი წლების რეპრესიულ მოვლენებს. ნინა გარდაიცვალა 1970 წელს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე. ნინას დარჩა შვილი დალი კენხუაშვილი.

სამწუხაროდ, დაძმების შესანიშნავი სამეული დღეს ვეღარ აკეთილშობილებს ჩვენს საზოგადოებას. არადა მათი მსგავსი ღირსეული ადამიანები ჰაერით სჭირდება დღევანდელობას.


ნათელში იყოს მათი სულები.

**გარჯით იყრობდნენ აღმართს,
სწრაფვა სჩვეოდათ სულ სხვა!..
სამწუხაროა, რადგან
ვეღარ ვგრძნობთ იმათ სუნთქვას.**

შაქარაშვილი ვახტანგი და ანა თამარაშვილი

„...რა არის ძალა დიდსულოვან ადამიანთა?
ის, რასაც ხმალი დაკარგი და არ დაზიანდა...“
(ანდრეას გრიფიუსი)

ცხოვრებამ ბევრჯერ მოუქნია ბასრი ხმალი ბატონ ვახტანგს, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის კაცობას, მის მეობას და მის მოღვაწეობას. ვაჟკაცად დაიბადა (1924 წ. 23 ოქტომბერი), ვაჟკაცურად იშრომა, იბრძოლა, იაზროვნა და ვალმოხდილი, როგორც ოჯახის, ისე საზოგადოებისა და მამულის წინაშე აღესრულა 1994 წ. 18 მარტს და კაცური ნაბიჯებით დაადგა სამუდამო სასუფეველისაკენ მიმავალ გზას გორის კვერნაქის მთის სასაფლაოსკენ.



ვახტანგ შაქარაშვილი დაიბადა ქ. გორში ალექსანდრე და თამარ შაქარაშვილების სტუმართმოყვარე ოჯახში. მას ჰყავდა და მანია და ძმა თენგიზი.

ვახტანგმა დაამთავრა ქ. გორის ე.წ. რკინიგზის მე-11 საშუალო სკოლა და იმავე წელს გაწვეულ იქნა საბრძოლველად გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ იგი იყო საუკეთესო მეძვევიამფრქვევეთაში გამოიჩინა ქ. ჟიტომირის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში. საბჭოთა არმიის საბოლოო გამარჯვებამდე რამდენიმე თვით ადრე იგი დაიჭრა და სამკურნალოდ გამოგზავნეს ქ. გორის ჰოსპიტალში.

საინტერესოა ის გარემოება, რომ სწორედ გორის ჰოსპიტალში მკურნალობის პროცესში მისი გული დაიპყრო მომხიბლავმა მედიცინის დამ ანა ილიას ასულმა თამარაშვილმა და სულ მალე ქვეყანას შეემატა კიდევ ერთი ახალგაზრდული და მოსიყვარულე ოჯახი (1945 წლის შემოდგომა).

ვახტანგ შაქარაშვილმა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვეღარ შეძლო



სწავლის გაგრძელება და მთელი თავისი შესაძლებლობებით აქტიურად ჩაერთო შრომით მოღვაწეობაში. ვახტანგის მეუღლე, ანა დაიბადა 1923 წლის 25 თებერვალს გორის რაიონის სოფ. პატარა გარეჯვარში ილია თამარაშვილისა და თამარ ყველაშვილის ოჯახში. ანამ ისწავლა და დაამთავრა გორის სამედიცინო ტექნიკუმი, რის შემდეგაც შეუდგა შრომით მოღვაწეობას გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

ბედნიერ, მშრომელ და მოსიყვარულე ოჯახში იშვა და აღიზარდა სამი შვილი: ლორეცა (დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მსუბუქი მრეწველობის სპეციალობით), თამარი (დაამთავრა გორის ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობით)

და ოთარი (დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი).

ვახტანგ შაქარაშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 18 მარტს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ვახტანგმა და ანამ ქვეყანას დაუტოვეს ოთხი შვილიშვილი, რომლებიც არასოდეს მისცემენ დავიწყებას ძვირფასი პაპისა და ბებუის ხსოვნას. ქალბატონი ანა გარდაიცვალა 2020 წ. 9 მარტს. დაკრძალულია მეუღლის გვერდით გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

სამაყო და სასიამოვნოა ის გარემოება, რომ როგორც ახლობელ-ნათესავები, კოლეგები და მეზობლები, ისე ნაცნობ-მეგობრები ვახტანგს და ანას ახსიათებენ როგორც პატიოსან, შრომისმოყვარე და ოჯახზე მზრუნველ პიროვნებებს.

ნათელში იყოს მათი სულები.

„...ბევრი ვეწე და ვეწამე,

მომიხდია კაცის ვალი

და მჯერა, რომ დაგვიდგება

უკეთესი მომავალი...“

(მირზა შაფი)

ჩარუევი ნოდარი

**„...შენ იყავ ღირსი
კარგი ცხოვრების,
კარგი რომ გსურდა
სხვებისთვის მუღამ...“**

გასული (XX) საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე გორში მტკიცედ გაიღვა ფესვები ე.წ. საკაეშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა („ნიიავეტომატპრომი“), რომლის კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერ-მუშაკი გახლდათ ნოდარ ჩარუევი.

ნოდარ ჩარუევი დაიბადა 1934 წლის 26 იანვარს ძირძველ გორულ ოჯახში. მშობლები: გიორგი ჩარუევი და ნინო კოვზიაშვილი (გორის რაიონის სოფ. ხიდისთავიდან).

გიორგის და ნინოს ოჯახი ცნობილი იყო განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, მოწესრიგებულობით და რაც მეტად მნიშვნელოვანია – შვილებზე გამორჩეული ზრუნვით.

ნოდარ ჩარუევი საბავშვო ასაკში უკვე ამჟღავნებდა სწავლისკენ მიწრაფებას, რაშიც მას მშობლებიც უწყობდნენ ხელს. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გორის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს კარგი სწავლით დაიმსახურა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი (გორის პედ. ინსტიტუტი; ფიზიკისა და წარმოების საფუძვლების ფაკულტეტი).

ნოდარ ჩარუევმა თითქმის 30 წელი იმუშავა „ნიიავეტომატპრომი“ სხვადასხვა თანამდებობაზე დაწვებული რიგითი ინჟინრის წოდებიდან უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდებამდე და გარკვეული დროით ლაბორატორიის გამგის სტატუსითაც.

ნოდარის აღმოაჩნდა მეცნიერული კვლევისა და ანალიზის შესაშური უნარი. იმასაც თუ დავამატებთ, რომ იგი გამოირჩეოდა მონდომებით და მიზანსწრაფულობით, აღარ გაგვიკვირდება, რომ იგი სულ მალე ჩაეწერა მოწინავე მეცნიერ-მუშაკთა რიგებში და გახდა მრავალი ტექნიკური სიახლის ავტორი და თანაავტორი. მისი შრომითი ბიოგრაფია დამშვენდა მრავალი რაციონალური წინადადებით, გამოგონებით, სა-



პატიო დიპლომებით თუ სიგელებით და პატენტებით, მადლობებით და ფულადი პრემიებით. 1973 წელს ნოდარ ჩარუევი დაჯილდოვდა „საპატიო გამომგონებლის“ ორდენით. იგი მალე აღიარეს ავტომატური საკონტროლო გამზომი ხელსაწყოების შექმნის, გამოცდის და დანერგვის საქმის დიდოსტატად.

ფრიად მიმზიდველი გახლდათ მისი ოჯახური სამყაროც, სადაც მან თავის გულის სწორთან, მერი გოგალაძესთან ერთად (1936-2017) შექმნა საოცრად თბილი და სიკეთით გაჯერებული ატმოსფერო (ქალბატონი მერი ასევე სწავლობდა გორის ინსტიტუტში, მერე კი მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას გორის №9 სკოლაში. მას მიღებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის საპატიო ტიტული).



მერი გოგოლაძე (1936-2017)

ნოდარმა და მერიმ აღზარდეს სამი შვილი: ელზა (ამჟამად მუშაობს აშშ-ში ექიმ-ინფექციონისტად); გია (ცხოვრობს და მუშაობს გორში); რევაზი (სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა 2003 წელს).

ნოდარს და მერის ჰყავთ ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი: გიორგი და თამარ ჩერქეზიშვილები და ნოდარი და ლევან ჭარუაშვილები. სამი შვილთაშვილი კი (ანა, ნინო, ალექსანდრა ჩერქეზიშვილები ცხოვრობენ აშშ-ში).

ნოდარ ჩარუევი გარდაიცვალა 2004 წლის 1 ივნისს.

მოსიყვარულე ცოლქმარი დაკრძალულია გორში, კვერნაქის მთაზე. ნათელში იყოს მათი სულები.

**„...კაცი ცოდნით ფასდება,
არა ოქრო-ვერცხლითა...“
(მორის ბედელი)**

ჩიქოვანი შოთა

„...მეგრდზე გეტყობა, გეტყობა უხვად,
ხარ სულთი მტკიცე მეომრის მოღვმის,
იბრძოდი ხშირად, შრომობდი მუდამ,
გაცემულ სითბოს ითვლიდი როდი?!
შენ სიმართლის თქმა იცოდი პირში,
„იცოდი ქიცვიც და ქიც-მაცურიც“,
ყოველდღიური ცხოვრების რიტმში,
პრობორიტეტი გქონდა კაცური...“



შოთა გიორგის ძე ჩიქოვანი დაიბადა ქ. გორში 1922 წლის 5 ივნისს. მისი მამა, ბატონი გიორგი ძველი სენაკის სამკვიდროდანი გორში გადააგზავნეს სამუშაოდ მაზრის უფროსის თანამდებობაზე.

ახლობელ-ნათესავების გადმოცემით, ბატონი გიორგი ყოფილა დიდად განათლებული, უაღრესად კულტურული, ახოვანი, გარეგნული სილამაზით და მიმზიდველობით გამორჩეული ადამიანი, რომელიც სხვა სიკეთებთან ერთად კარგად ფლობდა ხუთ ენას.

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ვრცელი ინფორმაცია მაზრის უფროსის თანამდებობაზე გიორგის მუშაობის შესახებ, თუმცა ცნობილია ის, რომ გორში მისი გული მოინადირა ქვრივმა ქალბატონმა (შვილები მიხეილ და მელანია არავიაშვილები) ნატალია ჩუტკერაშვილმა, რომელიც რუსული ენის პედაგოგად მუშაობდა ბავშვთა თავშესაფარში (ე.წ. „პრიუტში“) და იქ ყველას ძალიან შეყვარა თავი, როგორც ბავშვების უსაზღვროდ მოსიყვარულემ, თბილმა და საოცრად მზრუნველმა ადამიანმა (მას ერთ-ერთი ბავშვი წაუყვანია საუთარ სახლში, აღუზრდია და დაუყენებია ცხოვრების გზაზე, როგორც საკუთარი შვილი).

გიორგის შვილიშვილი ნინო იგონებს: „...გორში მუშაობის პერიოდში ბაბუამ გაიცნო ბებია; გარკვეული დროის შემდეგ დაქორწინდნენ; მათ ურთიერთობაში ყოველთვის იგრძნობოდა სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. მათ შეეძინათ ორი შვილი თინათინ და შოთა ჩიქოვანები“.

შოთა ჩიქოვანმა 1939 წელს დაამთავრა გორის №11 ე.წ. რკინიგზის საშუალო სკოლა, რის შემდეგაც, აისრულა ბავშვობის ოცნება და სწავლა გააგრძელა საავიაციო სასწავლებელში. სწავლის პერიოდში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და შოთა ჩიქოვანი მოხვდა საბრძოლო პერიპეტებში (მომავალში იტყვის – ბერლინამდე ფეხით ვარ ჩასული).

ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა და თანამებრძოლებთან ერთად კვლავ ბერლინისკენ გასწვია საბოლოო გამარჯვების იმედით (აღსანიშნავია, რომ დაჭრილი შოთა ჩიქოვანი რუსეთის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, მკურნალობის პროცესში, მოინახულა დედამ, რომელმაც დიდი გაჭირვებით ჩააღწია საჭირო ლოკაციაში).

მშობლიურ ქალაქს შოთა ჩიქოვანი დაუბრუნდა 1946 წელს, მრავალი ორდენითა და მედლით მკერდდამშვენებული.

აქედან იწყება უკვე ბატონი შოთას შრომითი ბიოგრაფია, რომელიც ასევე წარმატებული და მნიშვნელოვანი გახლდათ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ბატონი შოთა ხაზგასმულად ღამაზი მამაკაცი გახლდათ, რომელიც გასათხოვარი გოგონების მუდმივი ყურადღების ცენტრში გახლდათ. შოთამ არჩევანი შეაჩერა მორცხე პატარა გოგონაზე, რომელიც დაითანხმა გაჰყოლოდა ცოლად და სულ მალე შეიქმნა ახალგაზრდა მოსიყვარულე ოჯახი ალექსანდრა (შურა) ფულიევის დიასახლისობით.

ვისარგებლოთ ისევ ბატონი შოთას და ალექსანდრას შვილის, ნინოს მოვლებით: „...დედა იყო საუკეთესო დიასახლისი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ქმარ-შვილზე ზრუნვას მიუძღვნა. ოჯახში სუფევდა ერთმანეთის პატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფერო. დედას კარგად ეხერხებოდა ქარგვა და მისი ნამუშევრები იმსახურებდა დიდ ყურადღებას და შექებას“.

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ ბატონი შოთა ჩიქოვანის სამუშაო ორგანიზაცია-დაწესებულებების და დაკავებული თანამდებობების მოკ-



შოთას მეუღლე

ლე ჩამონათვალს: გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი; გორის პურ-კომბინატი, სტადიონი (დირექტორი); სპორტული მაღაზიის დირექტორი; ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე; და სხვა.

გორელების აღიარებით, ბატონი შოთა ჩიქოვანი გახლდათ ძალიან მოსიყვარულე, სამართლიანი და გულმოწყალე ადამიანი, რომელიც არასდროს ამბობდა აუგს სხვისი მისამართით. უკვარდა ომის ვეტერანთა ოჯახების მხარში ამოდგომა. ვერ იტანდა უზნეობას.

შოთა ჩიქოვანი გახლდათ პერსონალური პენსიისა და ღირსების ორდენის მფლობელი.



შოთა და მისი მეუღლე

სამწუხაროდ, 2007 წლის 3 ივნისს ღირსეულმა კაცმა და მოქალაქემ უკანასკნელად ჩაისუნთქა მშობლიური ქალაქის ჰაერი და გაემართა სამუდამო სასუფევლისაკენ, გორის (კვერნაქის მთა) სასაფლაოსკენ.

ნათელში იყოს მისი სული.

შოთა ჩიქოვანის მომგონებლები: შვილი ნინო (მე-3 სკოლის პედაგოგი); სიძე დიმიტრი (დიმა) ოქროპირიძე (რესტორან „ნაჭარმაგვეის“ მენეჯერი); მარიამ და გიორგი ოქროპირიძეები; როინ გოგიაშვილი; დიმიტრი და შოთა ოქროპირიძეები; ასევე მეზობელ-მეგობრები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები.


**„...ბედი ტრაგიკულ ფორმებში ახვევს,
სწორედ დიდ ადამიანებს...“**

(სტეფან ცვაიგი)

ჩიხლაძე ნოდარი

**ენატრობთ – კვლავ ჩვენთან ყოფილიყავი,
აღარ ეინდომებთ სხვა იერს, სხვა გულს...
ზამთარში ვარდიც, კომშიც კი ყვავის,
შენისთანები რცა ჰყავს მამულს.**

გასული საუკუნის მეორე ნახევარში (დასაწყისში) ყოფილმა სსრკ-მ ფართომასშტაბიანი, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ათასობით ღონისძიებები წამოიწყო, რათა როგორმე დასწვოდა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების წარმატებების დონეს ისეთ ახალ დარგებში, როგორებიც იყო: ავტომატური საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და ტექ



ნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემები.

საჭირო იყო ათეულ ათასობით სამეცნიერო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სპეცლაბორატორიების და საცდელი ქარხნების ქსელის შექმნა და რაც მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ – ასეულ ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადება არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ან ცოდნის ახალი კერების შექმნა.

აღნიშნული, მართლაც რომ გრანდიოზული სახელმწიფო პროგრამების ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ გორელი ახალგაზრდა ჩიხლაძე ნოდარ ივანეს ძე, რომელიც დაიბადა 1939 წლის 12 იანვარს.



მან დაამთავრა გორის №4 საშუალო სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტი (საწყის ეტაპზე ჩაირიცხა სამშენებლო ფაკულტეტზე).

წინამდებარე წიგნის ფორმატი არ იძლევა საშუალებას ვრცლად და ამომწურავად წარმოვაჩინოთ ნოდარ ჩიხლაძის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები; ერთის თქმა კი სიამაყით შეიძლება – მან სულ მოკლე დროში მოიხვეჭა ნიჭიერი და ნაყოფიერი მეცნიერ-მუშაკის სახელი და გაათმაგებელი ენერგიით განაგრძობდა წინსვლას.

მკითხველს წარმოუდგენთ ორგანიზაციებისა და სამუშაოების მოკლე ჩამონათვალს, სადაც და რაზეც მუშაობდა ნოდარ ჩიხლაძე: ქ. გორი, „ნიავტომატპრომი“ (ინჟინერ-კონსტრუქტორი); საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა; ლექციები აღნიშნული ინსტიტუტის გორის, რუსთავის და თბილისის ფილიალებში; პრობლემური ლაბორატორიის უფროსი; მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო (განყოფილების უფროსი) და ა.შ.

ნოდარ ჩიხლაძე აღიარებულ იქნა ერთ-ერთ საუკეთესო მეცნიერად მიკროელექტრონიკის განხრით. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია ტექნიკის სხვადასხვა სფეროში. აქვს გამოგონებები, რომელთა ნაწილი დანერგილია პრაქტიკაში.

ნოდარს იცნობდნენ და პატივს სცემდნენ ყოფილი სსსრ-ს ისეთი ქალაქების სამეცნიერო ინსტიტუტებში, როგორებიც იყო მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, ოდესის და სხვა პროფილური ორგანიზაციები.

ნოდარ ჩიხლაძე კარგად ფლობდა ინგლისურ ენას, რასაც წარმატებით იყენებდა კოლეგებთან ურთიერთობისას, როგორც ჩვენს სტუმრებთან,

ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობისას.

ნოდარ ჩიხლაძე საუკეთესო მეოჯახეც გახლდათ. მას იცნობდნენ, როგორც ქართული ეროვნული ტრადიციების განსაკუთრებულად მოყვარულ პიროვნებას, საუკეთესო და საოცრად მზრუნველ მამას. ბატონ ნოდარის ოჯახში აღიზარდა ოთხი შვილი (ნინო, გიორგი, ნატო, ქეთევანი), რომლებმაც თავის მხრივ სამშობლოს აჩუქეს ექვსი შვილი.

ნოდარ ჩიხლაძე გარდაიცვალა 2020 წლის 13 იანვარს. დაკრძალულია თბილისში (თბილისის ზღვასთან მდებარე სასაფლაოზე).

ნათელში იყოს მისი სული. იმედია, მონაგარი არასოდეს დაივიწყებს საყვარელ წინაპარს.



სამეცნიერო ლაბორატორიაში

**„...მაგრამ უკვდავთა სახელს ვერ წაშლის,
ხსოვნაში ქროლვა საუკუნეთა...“
(ბაირონი)**

წიწიკაშვილი ომარი




**ვინც მას იცნობდა, ყველა ამჩნევდა
სიკეთით საესე თვალების სხივებს...
გულის საათის რეკვა გაჩერდა,
ველარ მიჰყვება სიცოცხლის კიბეს.**

რამდენიმე წელიწადი ჩვენ ერთად ვმუშაობდით გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში („ნიიაგვტომატპრომი“), ე.წ. სპეციალისტების სამეცნიერო კერაში. მაშინ, ახალგაზრდები ვიყავით და ერთი შეხედვით – ჩვენთვის გადაულახავი სიძნელეები არ არსებობდა და ჩვენც განსაკუთრებული ჟინითა და ძალით ვეუფლებოდით ახალი

მეცნიერული მიმდინარეობის (ავტომატიკა და ტელემექანიკა) ნიუანსებს, მათ შორის მათემატიკური გამოთვლელი მანქანების გამოყენებით.

ომარ წიწიკაშვილი გახლდათ ერთ-ერთი მოწინავე და წამყვანი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც მთელი თავისი არსებით ჩართული იყო მეცნიერების უახლესი დარგის შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების საქმეში.



ომარ წიწიკაშვილი დაიბადა ქ. გორში 1941 წლის 30 სექტემბერს. გორის №2 საშუალო სკოლის დამთავრების

შემდეგ ისწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და უმაღლესი ტექნიკური (მათემატიკური გამოთვლელი მანქანები და საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები) დიპლომით ხელდამშვენებულმა დაიკავა პირველი კატეგორიის ინჟინრის თანამდებობა „ნიიატომატპრომში“.

აღნიშნულ ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში ომარმა მრავალ სამეცნიერო (თეორიული თუ პრაქტიკული) პრობლემის გადაწყვეტაში მიიღო მონაწილეობა და ყოველთვის წარმატებულად. ის რამდენჯერმე დააწინაურეს კარიერულ საფეხურებზე; ჰქონდა რაციონალური წინადადებები; თანამონაწილე და აქტიური შემოქმედი გახდა პრაქტიკაში დანერგილი მეცნიერული მიღწევებისა. არაერთხელ დააჯილდოეს როგორც სიგელებით, ისე ფულადი პრემიებით.

შრომითი ბიოგრაფიის შემდეგ ეტაპებზე მას ვხედავთ სულ სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე: გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის ინჟინერ-მექანიკოსი; პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი; გორის კავშირგაბმულობის კვანძის ხელმძღვანელი; სამშენებლო ტრესტის უფროსის მოადგილე; №9 სამშენებლო ტრესტის პროფკომიტეტის თავმჯდომარე; შემდეგ მთავარი ინჟინრად. ლითოგრაფიისა და დატვიფრის ქარხნის წამყვანი ინჟინერი და სხვა.

მთავარი კი მაინც ის გახლდათ, რომ სადაც ან რა თანამდებობაზეც არ უნდა ემუშავა – ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა დაკვირვებულობით, შესაბამისი ცოდნით, დაუღალავი შრომით და საქმისადმი ერთგულებით.

ამიტომ იყო, რომ მას ყელა პატივს სცემდა და ენდობოდა; იგი ყველას უყვარდა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა საზოგადოებაში.

გამორჩეოდა თვითმყოფადი იუმორისტული გრძნობით. ჰყავდა ძლიერი და ხალხმრავალი საახლობლო-სამეგობრო.

ომარ წიწიკაშვილმა საკუთარი ოჯახი შექმნა 1976 წელს სოხუმელ ოფთალმოლოგ ნონა კობახიძესთან ერთად. ოჯახს შეეძინა ორი შვილი – არჩილი და სოფიო. არ გაუმართლა ბატონ ომარს პირად ცხოვრებაში. სამწუხაროდ, სულ რაღაც ოთხ წელიწადში ქალბატონი ნონა გარდაიცვალა. ეს არ აკმარა ბედმა და ბატონი ომარი დღეითაც დაობლდა და ორი მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდის სიმძიმე მთლიანად დააწვა დაქვრივებულ მამაკაცს.


მისდა საამაყოდ და სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი პრობლემებს და საზოგადოებას აღუზარდა ორი ბრწყინვალე შვილი და აღუზარდა ისინი ასეთი მოწოდების ფონზე: „...ისწავლეთ და იშრომეთ, იცხოვრეთ თქვენი შრომით და გარჯით; ახლოს არ მიიკართო სიზარმაცე და შური; რაც გეძნელებათ – სწორედ ის უნდა აკეთოთ. რათა საკუთარ თავს აჯობოთო...“

ომარმა მეორედ იქორწინა 1985 წელს. ამჯერად მისი ცხოვრების თანამგზავრი გახლდათ მუსიკალური სამყაროს (ფორტეპიანო) წარმომადგენელი ქალბატონი ცირა კასრაძე, რომელმაც საკუთარი შვილებივით შეიყვარა ბავშვები და ომართან ერთად ყველაფერი გააკეთა მათი კეთილდღეობისა და სამომავლო წარმატებებისათვის.

ომარის ახლობლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი იყო დაუზარელი და ხელმძრვვე. ასაკში შესულსაც კი ვერ ნახავდით უსაქმურადო. სულ რაღაცას აკეთებდა და ამშვენებდაო. განსაკუთრებით ეხერხებოდა ავეჯის რესტავრაციაო. ოჯახში ბევრი რამაა მისი ნახელავიო.

ეზოში გააშენა ყურძნის ხეივანი, რომელსაც დღედაღამ თავს დასტრიალებდა. აყენებდა საუკეთესო ღვინოს, რითიც სამართლიანადაც ამაყობდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონი ომარი წარმატებით დაეუფლა კულინარიულ ხელოვნებას – უგემრიელს კერძებს ამზადებდა და თავისი ოსტატობით სიამოვნებას ანიჭებდა კეთილმოსურნეებს.



ომარ წიწიკაშვილი შვილთან (სოფიო) და შვილიშვილებთან (მარიამი, სალომე) ერთად

ომარ წიწიკაშვილს ჰყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. იმედია, ისინი არასოდეს დაივიწყებენ უძვირფასეს წინაპარს, რომელიც გარდაიცვალა 2020 წლის 18 ნოემბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მისი სული.

**„...არ უბეზნია კალთა მფარველის,
თითქოს სივრცეებს არღვევდა რაშით,
პლიერი კაცი შემწეს არ ელის,
საყრდენს პოულობს საკუთარ თავში...“
(აღ. გეროვი. პერიფრაზი)**

ჭულუხაძე შალვა და შეტკოვა ბაღინა

მათ მთელი გორი კარგად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა გამომდინარე, პირველ რიგში, მათი უმაღლესი ღონის ადამიანური შინაგანი ბუნების გამო და მათი ყოველდღიური ცხოვრების წესის გამო, რითაც ფრიად მიმზიდველნი და სასიამოვნონი გახლდნენ საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის.

შალვა ჭულუხაძე დაიბადა 1925 წლის 10 ივნისს ქ. თბილისში, მოხელის ოჯახში. მისი მამა კონსტანტინე გახლდათ საზოგადოებრივი კვების სისტემის საკმაროდ პოპულარული მუშაკი, ხოლო დედა, ქალბატონი მარიამი – დიასახლისი. შალვას ჰყავდა: ძმა გიორგი (მშენებელი, ტექნიკური სფეროს მუშაკი) და – ნინო (დიასახლისი).

შალვამ 1943 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქ. გორის ე.წ. რკინიგზის საშუალო სკოლა, შემდეგ კი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით

1953-1956 წლებში მუშაობდა ინგლისური ენის მასწავლებლად გორის №4 საშუალო სკოლაში. ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში





იგი ასრულებდა მთავარი ადმინისტრატორის მოვალეობას გორის სასტუმრო „ინტურისტში“. 1970-1975 წლებში იგი ამავე სასტუმროს დირექტორი გახლდათ.

მაღალი შრომითი მანქვნებლებისათვის და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭის წყალობით, ბატონ შალვას მიღებული ჰქონდა მრავალი სიგელი, დიპლომი, ჯილდო თუ მაძლობა, რომელთა შორის გამოირჩეოდა ე.წ. „გარდამავალი წითელი დროშა“.

აღსანიშნავია, რომ შალვა ჭულუხაძე ეწეოდა მნიშვნელოვან ლიტერატურულ-დრამატურგიულ მოღვაწეობას. ცნობილ ლიტერატორთან, შოთა მახარობლიძესთან ერთად შექმნა პიესები

„დანგრეული ბუდე“ და „უცნობი მეგობარი“ (რეჟისორ გ. აბრამაშვილის ხელმძღვანელობით პიესის დადგმა განხორციელდა გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში).

ბატონ შალვას ძალიან უყვარდა ქართული პოეზია და კარგად ერკვეოდა მის ღირსებებში.

შალვა ჭულუხაძეს იცნობდნენ როგორც კომუნიკაბელურ, ჯანსაღი იუმორის მოყვარულ და სტუმართმოყვარე პიროვნებას. იცნობდნენ-მეთქი – აღვნიშნე, რადგან იგი, სულ რაღაც 50 წლის ასაკში (1975 წ.) გარდაიცვალა ქ. ოდესაში. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

შალვას მეუღლე გალინა პეტრეს ასული შეტკოვა დაიბადა 1929 წლის 20 აგვისტოს ქ. ჩკალოვში, მფრინავ-გამომცდელის ოჯახში. მისი დედა ქალბატონი ანა პროფესიით ბუღალტერი გახლდათ. მას ჰყავდა ერთი და, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. გალინამ დაამთავრა ქ. ორენბურგის საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი სპეციალობით – „სამკურნალო საქმე“. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ქ. გორის სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგად.

ნაყოფიერი და წარმატებული შრომითი მიღწევებისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მათ შორის „საპატიო სიგელიც“.

ქალბატონ გალინას და ბატონ შალვას ოჯახში აღიზარდნენ ორი ვაჟი და ერთი გოგონა. მათი მონაგარია შვიდი შვილიშვილი და ოთხი

შვილთაშვილი. ვაჟები საცხოვრებლად გადავიდნენ უკრაინაში, ხოლო ქალიშვილი და მისი ორი ვაჟი ცხოვრობენ ქ. გორში. ვაჟები სპეციალობით ეკონომისტები არიან.

მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა ქალბატონ გალინას – ახალგაზრულ ასაკში დაკარგა მეუღლე, ხოლო ხანშიშესულმა ვაჟიშვილები.

გალინა შეტკოვა (ჭულუხაძე) გარდაიცვალა 2016 წლის 27 თებერვალს. დაკრძალულია გორში, მეუღლის გვერდით.

ნათელში იყოს მისი სული.

ქალბატონ გალინას იხსენებს მეზობელი თ. თოფჩიშვილი: „...ქალაქში ცნობილი გინეკოლოგი, ქალბატონი გალინა, წარმოადგენდა ძლიერი ქალის მაგალითს. სახლშიც, სამსახურშიც და საზოგადოებრივ წრეებშიც ყოველთვის მოწესრიგებულად და ლამაზად გამოიყურებოდა. ერუდირებული ქალბატონი თავისი აზროვნებით და ქმედებით უსწრებდა დროს. ახლაც მახსოვს მისი ბრძნული დარიგებები...“

**„...ეპიეთ ქალში შთაგონების ძალაც,
ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც...“
(ჯუზეპე მაძინი)**

საჩიძე ირაკლი

**...ჰეი, სადღაა შაპო, შენი დაფდაფის ცემა,
სადღაა შენი მძლე ლაშქრის ბუკთა ძახილი?!”
(ომარ ხაიაში. პერიფრაზი)**



ირაკლი მეუღლესთან (ვერა კორკოტაძე) ერთად

დიახ, სამწუხარო ფაქტია, რომ აღარ ისმის „ირაკლის დაფდაფების“ ხმა, ხმა, რომელიც გამხნევებდა, ძალას გმატებდა, მოგიწოდებდა თავდადებული შრომისა და ბრძოლისაკენ, ერთგულებისა და პატიოსნებისაკენ, სითბოსა და სიკეთისაკენ... თუ ამ ჩამონათვალს მივამატებთ ირაკლის მიმზიდველ გარეგნობას და მოზომილი იუმორ-



რის გრძნობას – ჩვენს წინ დასურათ-
დება საოცარი ადამიანის პორტრეტი,
პორტრეტი ირაკლი ხაჩიძისა...

ირაკლი ნიკოლოზის ძე ხაჩიძე დაი-
ბადა შიდა ქართლში, ქარელის რაიონის
სოფ. ქვენატოცვაში 1921 წელს. საშუალო
სკოლის დამთავრების შემდეგ (1938 წ.) სწავლა გააგრძელა
საქართველოს ვ. ლენინის სახელობის
სარკინიგზო-საინჟინრო ინსტიტუტში. მოხდა
ისე, რომ მე-3 კურსის სტუდენტი 1941
წელს ჩადგა გერმანელი ფაშისტებისგან
სამშობლოს დამცველთა რიგებში და მხოლოდ
1948 წელს შესძლო მან უმაღლესი განათლების
დიპლომის მოპოვება, რასაც მოჰყვა შრომითი
ბიოგრაფიის გამოძერწვის საწყისი ეტაპის
დაწყება.

ქ. გორის ადგილობრივი გაზეთი „გამარჯვება“ 1987 წ. №31. რედაქტორი

გ. ცერაძე წერს, რომ „ირაკლი ხაჩიძეს, სამხედრო-საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა რამდენიმე მედალი და მადლობა...“

1948 წლის სექტემბრიდან ირაკლი მუშაობას იწყებს საქართველოს ალკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კი სამხედრო და ფიზიკური კულტურის განყოფილების გამგედ.

1950-1952 წლებში ირაკლი ხაჩიძე მუშაობდა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო 1952-1954 წლებში ამავე განყოფილების გამგედ.

შემდეგ კი ირაკლი ხაჩიძემ დაიკავა თავისი პროფესიისა და მისწრაფების შესაბამის-შესაფერი თანამდებობა, რასაც ეწოდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ გორის ვაგზლის უფროსი. ამ თანამდებობაზე იმუშავა მან სიცოცხლის ბოლომდე და მრავალი ნოვაციის დანერგვით გორის სარკინიგზო სადგური და უბანი ჩააყენა მოწინავეთა რიგებში.

ირაკლი ხაჩიძის ახლობლები და კოლეგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი იყო მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნება. იყო მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა მიმართ.

ირაკლი ხაჩიძემ თავისი, მართლაც რომ საინტერესო ცხოვრების თანაგზავრად შეარჩია უმშვენიერესი ვერა კორკოტაძე. ოჯახმა აღ-



ირაკლი მეგობრებთან ერთად

ზარდა ორი ვაჟი – გიორგი და დავითი.

სამწუხაროდ, გიორგი გარდაიცვალა 1995 წელს.

ქალაქისა და გორელების მოყვარული და პატრიოტი კაცი ირაკლი ხაჩიძე გარდაიცვალა 1987 წლის 17 აგვისტოს.

მამა-შვილი დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. უკვდავი იყოს მათი სსოვნა.


**„...სთესე სიკეთე გონივრული,
მარადიული –
სთესე, მადლობას ამბობს ხალხი
აღლელი გულით...“
(ნ. ნეკრასოვი. პერიფრაზი)**

ხმალაქმ ბიჰი (კამო)

**„...მე გაველიე ჩემი ცხოვრების ჟამი
და მოვიხადე მოვაღეობა,
რომელიც ბედმა დამაპისრა...“
(კარლ ფონ ლინეი)**

დიდი შვედი მოაზროვნის სიტყვები საოცრად შეესაბამება და სრულიად ესადაგება რეალობას, რამეთუ გივი ხმალაქმ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე უშურველად გასცა ქვეყანაზე სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, ჰუმანურობის, სიყვარულისა და სიკეთის საყოველთაო გამარჯვებისათვის.

სამწუხაროა, რომ მან ბოლომდე ვერ გახარჯა თავისი ტალანტი და





თანამდებობრივ კაბინეტში

ვინი, რაც უხვად უბოძა მას ბუნებაში.

გივი (კამო) ხმალაძე სულ 64 წლის იყო, როცა თვალდანამუღმა გორელებმა დიდი გულისტკივილით გააციდეს გორის კვერნაქის მთის სამუდამო სასუფეველისკენ.

გივი (კამო) ხმალაძე დაიბადა 1935 წლის 12 მაისს კახეთის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონის, კერძოდ, ქიზიყის ქ. სიღნაღში. მამა, ირაკლი ხმალაძე იმ დროისათვის ცნობილი იყო, როგორც გამარჯვებული კაცი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იკავებდა ფეხსაცმლის გაერთიანებული სამ-

კერვალო ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობას და მისაბადი ავტორიტეტით სარგებლობდა ფართო საზოგადოებრივ წრეებში.

დედა – თამარ პოპიაშვილი გახლდათ ოჯახის საკმაოდ ცნობილი დიასახლისი.

საშუალო სკოლაშივე გამოჩნდა გივის ნიჭიერებისა და აქტიურობის კონტურები, რაც საბოლოოდ გამოიხატა სკოლის დამთავრებაში ვერცხლის მედლით.

ცნობილია, რომ მედალოსნებს უგამოცდოდ იღებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. მთავარი იყო მომავალი პროფესიის განსაზღვრა მომხდარიყო სწორად. გივიმ (კამომ) არჩევანი შეაჩერა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტზე და 1959 წელს საქართველოს ტექნიკურ ინტელიგენციას შეემატა კიდევ ერთი ნიჭიერი და ენერგიული ინჟინერ-მექანიკოსი.

აღსანიშნავია, რომ გივი (კამო) ხმალაძემ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ქ. გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ცენტრალური სარემონტო საამქროს უფროსად, რაც დიდი პატივი გახლდათ ახალგაზრდა სპეციალისტისათვის.

და დაიწყო ფრიად რთული, მრავალმხრივი და საინტერესო შრომითი ბიოგრაფიული პერიპეტეიები, რომლებთანაც შეჯიბრ-შეჭიდებაში, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდიოდა ახალგაზრდა, ნიჭიერი და ენერგიული ქიზიყელი ვაჟკაცი სახელად გივი (კამო) ხმალაძე.

გივიმ მალე მოიპოვა წარმატებული სამეურნეო მუშაკის ტიტულები და ასევე მალე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მას

ეკითხებოდნენ, მას უსმენდნენ, მას აფასებდნენ სრულიად დამსახურებულად.

1976 წელს გივიმ (კამომ) დაამთავრა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

1978-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს გაზის გორის სამმართველოს მთავარ ინჟინრად. 1981 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ადგილმრეწველობის გორის საწარმოო გაერთიანების მთავარ ინჟინრად.

თქვენი მონა-მორჩილი კარგად ვიცნობდი გივი (კამო) ხმალაძეს. აღფრთოვანებული ვიყავი მისი ენერგიულობით, სიკეთის კეთების დაუოკებელი სურვილით და უნარით, ხასიათის პირდაპირობით და ერთგულებით და, რაღა თქმა უნდა, კახური იუმორით.

ჩემი აზრით გივი (კამო) ხმალაძე გახლდათ ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

1963 წელს გივის ცხოვრებაში დაიწყო ნებისმიერი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როცა მან საკუთარი ოჯახი შექმნა იზოლდა ძიძიგურთან ერთად და კახელმა კაცმა ქართლის შუაგულში, როგორც იტყვიან ხოლმე, დაიღო ბინა.

ბრწყინვალე ოჯახში აღიზარდა ორი ვაჟკაცი – გიორგი და ზვიადი (რვა წლის განმავლობაში გახლდათ გორის საკრებულოს თავმჯდომარე).

გივის ახლობელი ადამიანები იგონებენ: „...გამორჩეული ადამიანი იყო ბუნებით – ჰუმანური და კეთილშობილი. სიკეთისა და პატიოსნების კვალი დატოვა ყველგან და ყველასთან, რასთანაც და ვისთანაც შეხება ჰქონია; დიდ სიყვარულს გამოხატავდა გორისა და გორელების მიმართ“.

გორის საზოგადოება მას დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს; გორი შეიყვარა და მის განვითარებაზე მუდამ ფიქრობდა, თუმცა არც მშობლიურ კუთხეს ივწყებდა – არ გაუცეებია მამისეული კერა.

გივი (კამო) იყო ადამიანი, რომლის გარდაცვალებაც დიდი დანაკლისი გახლდათ როგორც გორის საზოგადოებისთვის, ისე ახლობელ-ნათე-



ოჯახის წევრებთან ერთად მოგზაურობისას

საგებისათვის, როგორც გორში, ისე სიღნაღში.

დღეს, გივისნაირები სანთლით უნდა ეძებო... რა იქნება მომავალში – ღმერთმა უწყის.


ნათელში ყოფილიყოს კაცური კაცის სული. ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე მის მონაგარს.

**„სჯობს სახელისა მოხვეჭა,
ყოველსა მოსახვეჭელსა...“
(შოთა რუსთაველი)**

ჯავახიშვილი ზვიადი

დიდებული ვაჟკაცის შესახებ თხრობას დავიწყებ პოპულარული პოეტის აკაკი ბიძინაშვილის სიტყვებით: „...დიდად გასახარია და საამაყო, როდესაც ღირსეულ წინაპრებს სასახელო შთამომავლები ჰყავთ...“

სახელოვან და წარმატებულ ჯავახიშვილებს კი როგორ დაივიწყებს მაღლიერი ქართველობა, ისინი ხომ ფრიად საპასუხისმგებლო და ისტორიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის განვითარების ამათუიმ სფეროში დროის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა სოციალურ ვითარებაში. აი, რამდენიმე მათგანი – ივანე



(ისტორიკოსი), მიხეილი (მწერალი), გივი (პოლიტიკოსი), ალექსანდრე (გეოგრაფოსი), დიმიტრი (კურორტოლოგი), ლაშა (სახელოვანი მეომარი, ი. სტალინის არაერთი მადლობის მფლობელი) და მრავალი სხვა.

საყოველთაოდ ცნობილი ჯავახიშვილების დიდი ნაწილი აღზრდილი და დავაჟკაცებულია შიდა ქართლის ტირიფონის ველის, კერძოდ, სოფ. ბერშუეთის მიწისა და ჰაერის საოცარი სურნელების ატმოსფეროში.

იყო დროის ისეთი მონაკვეთი, როდესაც მთებში და ტყე-ღრეებში შეფარებული ე.წ. „შარაგზის ყაჩაღები“ მოსვენებას არ აძლევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, თავს ესხმოდნენ, აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ. ამ შემთხვევაშიც ჯავახიშვილების ვაჟკაცურ შემართებას ხშირად



ზვიადი ოჯახის წევრებთან. დგანან (მარცხნიდან): ზაზა (შვილი), ზვიადი (შვილიშვილი), თეიმურაზი (შვილი), სხედან: ცირა (რძალი), მზიკო (შვილიშვილი), ზვიადი (უფროსი), თეონა (შვილიშვილი), მზია (მეუღლე) დ ირმა (რძალი).

სოფ. ბერშუეთში. მის გულს კი მხოლოდ ერთმა აგრძნობინა თუ რა იყო სიყვარული და მამულს შეემატა კიდევ ერთი ოჯახი.

ზვიადმა და მზიამ გამოზარდეს ორი ვაჟკაცი – ზაზა და თეიმურაზი.

უმაღლესგანათლებამიღებულმა ინჟინერმა თავისი სასიკეთო კვალი დაამჩნია რევიონის ამათუიმ კუთხეს. ზვიადი გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და მიზანსწრაფვით. აუცილებლად მიჰყავდა საქმე ბოლომდე. მოსიყვარულე მეუღლე, ქალბატონი მზია, ყოველმხრივ უწყობდა მას ხელს.

სანიმუშო შვილები გაზარდესო, რომ იტყვიან ხოლმე, ზუსტად შეესაბამება ზვიადსა და მზიას დუეტს. მათი შვილები (ზაზა და თეიმურაზი) დაკავებულნი არიან სასარგებლო საქმიანობით. მათი ჰობია ბიზნეს-მეურნეობა. დაკავებული და დასაქმებული ჰყავთ 30-მდე ადამიანი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

სამწუხაროდ, ბატონი ზვიადი და ქალბატონი მზია ვეღარ შესძლენ გაიზარონ საკუთარი მონაგარის წარმატებით – ისინი უკურნებელი სენის მსხვერპლი გახდნენ. დაკრძალულნი არიან გორის რაიონის სოფ. ტინისხიდის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მათი ხსოვნა.

**„ცოლქმრული სიყვარული
ასულღებულებს კაცთა მოღმას...“
(ფრენსის ბეკონი)**

ჯოჯიშვილი ნელი

**„...როგორ გადმოვიცე შროშნის,
ვარდის ფერი ცხოველი?
როგორ ავსახო საკადრისად
შენი მშვენება?!“**

(რაფაელ სანტი)



საოცრად ენერგიული, მუდამ მომღიმარი და კეთილისმსურველი, კომუნიკაბელურობით გამორჩეული, ცხოვრების წესითა და ქალური გარეგნობით ყოველთვის საინტერესო და მისაბაძი... ასეთი გახლდათ ნელი მიხეილის ასული ჯოჯიშვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღწია საზოგადოების კეთილდღეობისათვის შრომასა და ბრძოლას.

გახლდათ-მეთქი, მოგახსენეთ – რადგან 84 წლის ასაკში მიატოვა თავისი საყვარელი ქვეყანა და ხალხი, დაადგა რა სამუდამო სასუფევლისაკენ მიმავალ გზას. თვალცრემლიანი დატოვა ათასობით ადამიანი და ძვირფასი ოჯახი, რომელიც შექმნა ნოდარ ჩერქეზიშვილთან ერთად და რუდუნებით აშენებდა საუკეთესო მომავალთან შესახვედრად.

ნელი ჯოჯიშვილი დაიბადა 1934 წლის 8 მარტს მიხეილ ჯოჯიშვილის ოჯახში, რომელიც ვეღარ დაბრუნდა სამამულო ომის ბატალიებიდან. ოჯახში აღიზარდნენ დები – ნელი და ვენერა.

ნელი ჯოჯიშვილმა წარმატებით დაამთავრა გორის №3 ქალთა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის ისტორიის ფაკულტეტზე.

ნელი ჯოჯიშვილი გამორჩეული იყო აქტიურობით. ყოველთვის იყო წინა რიგებში და გახლდათ მისაბაძი ასუელობით თანატოლისათვის.

საშუალო სკოლაშივე გამოიკვეთა ნელის პირადი შესაძლებლობები: იყო კომკავშირელთა ლიდერი; ცეკვაავდა, მღეროდა, აქტიურად მონაწილეობდა სპორტულ ღონისძიებებში; წინ მიუძღოდა ყველა სახის მასიურ ღონისძიებას და ა.შ. იგივე გააგრძელა ინსტიტუტშიც და ყველასათვის საყვარელი პიროვნება გახდა.

მიუხედავად მრავალმხრივი დატვირთულობისა, იგი მაინც ასწრებდა



**ნელი ჯოჯიშვილი (ზის მარცხნიდან პირველი)
თანაკურსელებთან ერთად 1953 წ**

ყველაფრის სწავლას საგაღდებულო პროგრამების შესაბამისად. ნელი ჯოჯიშვილის ცხოვრებიდან იხსენებენ ასეთ ეპიზოდს: ძალიან გვიან საღამომდე შემორჩა რომელიღაც მასშტაბურ ღონისძიებას და ყველას ეგონა, რომ მეორე დღეს სკოლაში აუცილებლად შერცხვებოდა და მოუშზადებელი აღმოჩნდებოდა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ექვსივე გააკეთილზე მიღო უმაღლესი შეფასება.

ნელი ჯოჯიშვილი ინსტიტუტშიც აგრძელებდა კომკავშირულ საქმიანობას, რამაც საბოლოოდ მას გაუკაფა გზა იქითკენ, რომ ჩამოყალიბებულიყო წარმატებულ პარტიულ-სამეურნეო მუშაკად და ასეც მოხდა – სიცოცხლის ბოლომდე კეთილსინდისიერად ემსახურა კომუნისტური საზოგადოების სრულყოფის ისტორიულ საქმეს.

მისი თანამდებობებისა და სამუშაო სფეროების მოკლე ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ქ. გორის №7 საშ. სკოლის პედაგოგი; ბამბეულის ქსოვილების კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი; საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი; გორის რაიკომის მეორე მდივანი და სხვა.

წარმატებული პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეობისათვის ნელი ჯოჯიშვილს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და წოდება, მათ შორის „ღირსების ორდენი“ და ა.შ. აქტიურად მონაწილეობდა გორში არსებული „საზოგადოებრივი აზრის კომიტეტის“ (მ. აბუაშვილის მიერ ჩამოყალიბებული) მუშაობაში.

ნელი ჯოჯიშვილს ძალიან უყვარდა ხალხის ფართო მასებთან ურთიერთობა, ადამიანების ჭირ-ვარამის გაზიარება, გაჭირვებულების მხარში ამოდგომა და ზოგადად – სიკეთის კეთება. ნელი ჯოჯიშვილთან ახლობლობა და მეგობრობა ყველას ენატრებოდა და ყველას ეამაყებოდა.

ორი ვაჟკაცის (მალხაზი, მერაბი) დედა და შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი უკანასკნელ გზაზე დიდი გულისტკივილით გააცილეს ოჯახის წევრებმა და გორის საზოგადოებამ (2018).

დაკრძალულია კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

მომგონებლებმა იცოცხლონ დიდხანს, რათა არ ჩაქრეს სანთელი და არ შეშრეს ღვინის წვეთი მის საფლაოზე.

**„...სანთლად ვანთივართ,
ჯაფით ვიღვეით,
სული კი მზესთან
დაიარება...“**

(ქამალ ისუაჰანი)



სარჩევნი

ავტორისაგან	3
წინათქმა	4
აბრამიძე ნანა	6
არბოლიშვილი გურამი და გაფრინდაშვილი ნინო (ნუნუ)	8
ბერიშვილი ნელი	10
გოგშელიძე ენდი	12
გორგიშვილი ალექსი (საშა)	14
დევძე ოთარი	16
დვალისხვილი შოთა	19
ზაუტაშვილი გიორგი და რაზმაძე ელენე	21
ზაუტაშვილი როინი	24
კობერიძე თამაზი (შოთა).....	27
მეყანწიშვილი გიორგი	28
მუმლაძე ზურაბი (ზურა)	30
მურადელი ვანო	34
მჭედლისხვილი გივი	36
მჭედლისხვილი ლერი	38
სოსანიძე ვახტანგი	39

ქურდაძე რეზო	41
ქურდაძე შოთა	45
ღოლიჯაშვილი არსენა	48
ღოღობერიძე შოთა	50
ყველაშვილები ნიკოლოზი და ვლადიმერი	53
შაქარაშვილი ვახტანგი და ანა თამარაშვილი	55
ჩარუევი ნოდარი	57
ჩიქოვანი შოთა	59
ჩიხლაძე ნოდარი	61
წიწიკაშვილი ომარი	63
ჭულუხაძე შალვა და შეტკოვა გალინა	66
ხაჩიძე ირაკლი	68
ხმალაძე გივი (კამო)	70
ჯავახიშვილი ზვიადი	73
ჯოჯიშვილი ნელი	75

ნიგნის წინა სამი ნაწილი გამოვიდა სახელწოდებით:
„...და ვანთებ სანთელს...“

ნიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე ვახტანგი, ბა-
ზანდარაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბე-
ქაური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, გაგნიძე
ბეჟანი, გამგებელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდნითელი თეიმურაზი,
გუდაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გრუამი, დადიანი დავითი, დადიანი
ვალეკო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამლეტი, თურაზაშვილი კობა,
კერესელიძე რობერტი, კობერიძე აფენდი, კობერიძე გურგენი, კოშუაშ-
ვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალეზაშვილი გიორგი, ლაცაბიძე
მიხეილი, მაისურაძე გივი, მერეზაშვილი გურამი (გულკა), მესროფოვი
სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშკა), მუკნიაშვილი გიორგი, ნა-
დირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოქროპირიძე
ოთარი, რობაქიძე ფემალი, სამადალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო,
ფაჩოშვილი ვანო, ქილიტაური თენგიზი, ღონლაძე თეიმური, ყეინოშვილი
ოთარი, შაფთოშვილი მიხეილი, შერმადინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩი-
ტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წკრიალაშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი
სიკო, ხუციშვილი ედუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი.

ნიგნის მეორე ნაწილში შეტანილია:

აბაიაძე ივანე, აბრამიშვილი გიორგი, ადვიშვილი რომანი, არშაკუნი
მათე, ბიჩინაშვილი ზაური, გაბუნია გურამი, გერმანიშვილი ასლანი,
გიორგაძე ანზორი, გოცირიძე ბაგრატი, გოცირიძე როლანდი, თავაქა-
ლოვი კარლო, კარაპეტიანი ზავენი, კიკაბიძე თეოფილე, კიკნაძე ვლად-
იმერი, კლიმიშვილი ვაჟა, კორინთელი ოთარი, მაკრახიძე მირიანი, მე-
მანიშვილი ზაალი, ნადირაძე პეტრე, ოქროპირიძე სოფიო, პატარიძე
გიორგი (ბონდრო), გიგაური თამარი, სომხიშვილი ანზორი, ქორჩაშვილი
ალექსი, ქურდოვანიძე თემო, ჩუხრუკიძე ევგენია, ჩხიკვაძე ნიკოლოზი,

ხირსელი თამარი, ქელიძე ოთარი (გუჩურა), ხუბულური ირაკლი, დე-და-შვილი ჯულიეტა ხაჩიძე ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური.

ნიგნის მესამე ნაწილში შეტანილია:

არსენიძე შოთა, ბერუაშვილი დურმიშხანი, ელბაქიძე ლევანი (ლეო), ელუაშვილი თენგო, ზარნაძე ანზორი, ზაუტაშვილი ზურაბი, თეთრუაშვილები, მაჭარაშვილი თამარი, მეცხვარიშვილი შამილი, ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ გობეჯიშვილი-ონიაშვილი, რატიშვილი ვასიკო, რუბაშვილი დალი, სოსანიძე გივი, ქამუშაძე ანზორი, ჩალაური ვლადიმერი, ქელიძე ვაჟა, ხარშილაძე დავითი, ჯავახიშვილი შოთა, ჯაფარიძე შალვა, იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი.

ნიგნის მეოთხე ნაწილში შეტანილია:

გალუსტაშვილი სოკრათი, თეთრუაშვილი ნუნუ, თოთლაძე შალვა, კახნიაშვილი ვასო, მახარობლიძე შოთა, მცურავიშვილი პავლე, ნაყოფია ჯემალი, ნოზაძე გიორგი, ჟიჟიაშვილი ლევანი, ქარელი კობა, ქარელი მიხეილი, ცერცვაძე გიორგი, ჯამბრიშვილი ივანე.

ნიგნის მეხუთე ნაწილში შეტანილია:

ათუნაშვილი ნიკო, ანანიაშვილი მიხეილი, ანთაძე ლიანა, ანთაძე მიხეილი, ასპანაძე სოსო, ბაინდურაშვილი თენგიზი, ბერუაშვილი ლალი, გერმანიშვილი ანზორი, ზვადიშვილი ქეთევანი, ქრისტესიაშვილი ლუარსაბი, ირა და იდა, კავლელაშვილი მარიამი, კარიჭაშვილი ნიკოლოზი, კერხუაშვილი ლილი, ლეკიშვილი შალვა, მაისურაძე ემილი, მჭედლიშვილი იროდიონი (ირაკლი), სახვაძე სოგრატი, სრესელი რუსუდანი, ტატულაშვილი გურამი, ტატულაშვილი თინათინი, ტატულაშვილი ისაკი, ტატულაშვილი ომარი, ფუტკარაძე ოლია, ქორქაძე რუსუდანი, ქუთათელაძე ოთარი, ყანჩაველი ნუგზარი, ჩიტაძე ალექსანდრე, ძველაია ვასილი, ჯამბრიშვილი ამირანი (გივი).

ნიგნის მეექვსე ნაწილში შეტანილია

აბრამიშვილი ვაჟა, აბულაძე ლეონიდე (ლენო), აივაზოვი გივი, ბეგლარიშვილი გიორგი, გაბაშვილი ზაალი, გოგოლაძე სულიკო, გოდერძიშვილი შალვა, დონგუზაშვილი ჯამლეთი, დონღუზაშვილი ზურაბი, დონღუზაშვილი გურამი, ზუმბულიძე ნოდარი (ბიჭიკო), კაკაურიძე შოთა, კოვალენკო გივი, კოპინაშვილი გიორგი, მაკრახიძე ასლანი, მაკრახიძე სოლომონი, მახარაშვილი თამარი, მახარაძე ამირინდო, მჭედლიშვილი არჩილი, ნამორაძე მარიამი, ნინიაშვილი გურამი, სირიბეგოვი ანა, ტატიშვილი ნარგიზა და ნადირაშვილი ავთანდილი, ფოცხვერაშვილი ვასილი, ქილიტაური გიორგი (გია), ქილიტაური მარიამი (მარიკა), ყანჩაველი ლუიზა და ცერაძე გივი, ჩიკოიძე ვერიკო, ნაოჭაშვილი რუსუდანი, ჩიხლაძე ნაისი, ცოხნიაშვილი ანზორი, ხორგუაშვილი იოსები, ხუციშვილი გიორგი, ხუციშვილი თეიმურაზი.

ნიგნის მეშვიდე ნაწილში შეტანილია

ანანიაშვილი ნოდარი, ბიჩინაშვილი (მაკრახიძე) ოლლა, გაბუნია ნინა, გოლოშვილი მარგალიტა, გუდაძე ნოდარი, ეფრემიძე მირიანი, ზედგინიძე პანტელი, იუფეროვები – ნიკოლოზი და იორამი, კანდელაკი თარაში, კაჭკაჭიშვილი დავითი, ჩოხელი ქსენია, კოვზიაშვილი ალბერტი, მამუკაშვილი ნადია, შოშიაშვილი შალვა, მანძულაშვილი ანო, მართაშვილი ლეილა, მეზერიშვილი გიორგი (გია), მთვარელიძე ეთერი, რატიშვილი ალბერტი, ტატიშვილი ალექსანდრე, ურჯუმელაშვილი ტარიელი, ფერმანგიშვილი ოთარი, ქარუმიძე ოთარი, ქობლიანიძე გურამი, ღვინიაშვილი ნოდარი, ჩიტაშვილი პეტრე, ჩიხლაძე დიმიტრი, ჩოჩიშვილი შოთა, ჭილლაძე მერი, ჭილლაძე ომარი, ხადური იულონი, ხადური ჯიმშერი, ხარაიშვილი ალექსანდრე (საშა), ხაჩირაშვილები – ანზორ და ზაზა, ხუციშვილი შალვა, ჯაფარიძე ომარი.

ნიგნის მერვე ნაწილში შეტანილია


აბულაძე როლანდი, ალავერდაშვილი თეიმურაზი (ბიჭიკო), აღდგომელაშვილი მიხეილი, ახოზაძე ელგუჯა (გუჯა), ბეჟანიშვილი ზაური, ბიძინაშვილი ამირანი, ბრეგვაძე ომარი, გელდიაშვილი ვახტანგი, გელდიაშვილი ნადია (ნადეჟდა), გიუაშვილი შალვა, დათიშვილი თენგიზი (ჭოლა), დეკანოსიძე ეთერი (ნატალია), დიდებელი ნაირა, ელიზბარაშვილი ფრიდონი, ვანიშვილი თემური, ზაუტაშვილი ზინა, ზაუტაშვილი ციური, თოროზაშვილი გურამი, კიკნაძე ზაური, მეზერიშვილი არტემი, პაპელიშვილი გიორგი, რუსიშვილი კარლო, სახვაძე ვალერიანი (ვალიკო), ტლაშაძე ვახტანგი, ქალიაშვილი ნიკოლოზი, ქიტიაშვილი მარინე, ყანჩაველი დარეჯანი, ჩიკვაძე მიხეილი, ჭილაძე ავთანდილი, ხიზანიშვილი სერგო, ხიზანიშვილი შალვა (ციცა), ჯვარიძე შოთა.

ნიგნის მეცხრე ნაწილში შეტანილია

აბუაშვილი ლეილა, ავაზნელი შოთა, ასანიძე შოთა, ანკარუნაშვილი მარიამი, ბიძინაშვილი დავითი და ცოტინაშვილი ნაზი, გიგაია ვლადიმერი, გიგაია ნიკოლოზი, გოგიაშვილი ივანე (ოთარი), გრიქუროვი ვაროლია და მერაბიშვილი ბესარიონი, დავარაშვილი ისაკი, დარჯანია ბორისი, ზაუტაშვილი ანა და ბიძინაშვილი ივანე, ზაუტაშვილი მარგალიტა და როსტომოვი გაბრიელი, თავაძე გიორგი, იასამნიძე თეიმურაზი, იასამნიძე იური და დალაქიშვილი სირანა, ნასყიდაშვილები – თეიმურაზი და ნიკოლოზი, საყვარელიძე დარიკო, სუხიშვილი ზაქარია, ტერტეროვი გივი, ქარუმიძეები, ქობლიანიძე მიხეილი (მიშა), შიუკაშვილი მორისი, შულღიაშვილი გურამი, შულღიაშვილი როლანდი, ცერცვაძე ლილი და რაზმაძე თენგიზი, ნკრიალაშვილი გიორგი და ბიბილაშვილი ნაზო, ხოდელი შალვა და მაისურაძე რუსუდანი, ხორგუაშვილი პავლე, ხოჯევანიშვილი ნუგზარი, ჯავახიშვილი ვახტანგი, ჯავახიშვილი როზა (როზალია).

ნიგნის მეათე ნაწილში შეტანილია

აბუაშვილი მედეა, ბერიშვილი თამარი და კიტოვანი შალვა, გრძელ-
ლიშვილი თენგიზი, ელანდიშვილი რამაზი, კარიჭაშვილი იზაბელა
(იზო), კბილაშვილი თამარი, კერხუაშვილი გაბრიელი, კილჩაუსკაიტე
ნიოლე (ნინო) მაჭავარიანისა, ლაბაძე ოთარი, მახარაშვილი გიორგი,
მებადური ანზორი, მნითურიძე ნიკოლოზი, ოდოსაშვილი ნათელა და
კვინინაძე გრიშა, რატიშვილი თამარი და ავაზნელი შოთა, სამადა-
ლაშვილი ელენე, სირანაშვილი ნიკოლოზი (ნუკრი), ტლაშაძე გენო,
ღვინიაშვილი ზამირა, ცხისთავი დალი, ჭილაძე ილია (ცაცო), ხი-
თარიშვილი ვასილი, ხინჩიკაშვილი თენგიზი, ხირსელეები – ამბროსი
და ვიქტორი (ვიკა); საპი მუშკაძე: ჩხუბიანიშვილი ალექსანდრე
(სანდრო), ჩხუბიანიშვილი გიორგი, ჭანკოტაძე რევაზი; ღირსემუ-
ლი შვიდმული: სუხიშვილი გიორგი (ჟორა), ბზიშვილი რევაზი, ნა-
დირაძე კონსტანტინე (კონო), მაზმიშვილი რამზესი, ჯავახიშვილი
რევაზი, ონიაშვილი ნუგზარი, გოხელაშვილი ალექსი,



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით. თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 40-ზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში